ევთოს რეგიონში პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ინსტრუმენტები

ინსტრუმენტი 5

# პოლიტიკაში ჩართულ ქალთა მხარდაჭერა და ხელშეწყობა

OSCE ODIHR

# პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის ინსტრუმენტები

## ინსტრუმენტი 5: პოლიტიკაში ჩართულ ქალთა მხარდაჭერა და ხელშეწყობა

Office for Democratic Institutions and Human Rights

OSCE ODIHR

**სამადლობელი:** ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (ODIHR) მადლობას უხდის ევროპარლამენტში მწვანეების/ევროპის თავისუფალი ალიანსის (EFA) ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის შესახებ კამპანიის მონაწილეს, ანიკა ოჯალას და ODIHR-ის საერთაშორისო კონსულტანტს, ელინა ნიკულაინენს მე-5 ინსტრუმენტის (პოლიტიკაში ჩართულ ქალთა მხარდაჭერა და ხელშეწყობა) მომზადებისთვის. ასევე, გულითად მადლობას ვუხდით ფინეთის პარლამენტის წევრს, ევა ბიოდეს, გაერთიანებული სამეფოს პარლამენტის წევრს, ჯეს ფილიპს და სხვა ანონიმურ პოლიტიკოსებს, რომლებმაც ქალ პოლიტიკოსებს თავიანთი მოსაზრებები და პრაქტიკული რჩევები გაუზიარეს.

ODIHR მადლობას უხდის, ასევე, ეუთოსა და სხვა რეგიონების უნივერსიტეტების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს, მკვლევრებს, პრაქტიკოსებსა და ექსპერტებს, რომელთაც წინამდებარე დოკუმენტის შედგენაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს.

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის ინსტრუმენტები
ინსტრუმენტი 5: პოლიტიკაში ჩართულ ქალთა მხარდაჭერა და ხელშეწყობა

ვარშავა, 2022 წელი
OSCE/ODIHR

გამოქვეყნებულია ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (ODIHR) მიერ.
მიოდოვას ქ. 10
00–251 ვარშავა
პოლონეთი
www.osce.org/odihr

© OSCE/ODIHR 2022 ყველა უფლება დაცულია. ამ პუბლიკაციის შინაარსი შეიძლება თავისუფლად იქნას გამოყენებული და კოპირებული საგანმანათლებლო და სხვა არაკომერციული მიზნებისთვის, იმ პირობით, რომ ნებისმიერი ამგვარი გამოყენებისას წყაროდ მიეთითება OSCE/ODIHR.

ISBN: 978-92-9271-091-0

დიზაინი: Michael Lusaba
ილუსტრაციები: Aida Herceg

SCAN ME

# შინაარსი


**შესავალი** **01**

**პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის ფორმები და გამოვლინებები** **04**

**ძალადობის ზეგავლენა პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობაზე** **10**

**უსაფრთხოების და მართლმსაჯულებაზე წვდომის უზრუნველსაყოფად საჭირო მხარდაჭერა და ზომები** **14**

პრევენცია და დაცვა: რისი გაკეთება შეგიძლიათ პოლიტიკაში ჩართვამდე ან ნებისმიერ ინციდენტამდე? 15

რეაგირება: როგორ უნდა ვიმოქმედოთ ინციდენტის დროს? 26

ფინეთის პარლამენტის წევრის, ევა ბიოდეს რჩევები 30

ინციდენტის შემდეგ 32

გაერთიანებული სამეფოს პარლამენტის წევრის, ჯეს ფილიპსის რჩევები 36

როგორ დავეხმაროთ კოლეგას? რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი 39

**პოლიტიკოსს და პოლიტიკური პარტიის წევრს შეუძლია...** **41**

პრევენცია 41

დაცვა 42

სამართლებრივი დევნა, დამანაშავეთა დასჯა 43

პოლიტიკის კოორდინაცია 44

**დანართი 1: ქალთა მიმართ ონლაინ შევიწროებისა და ძალადობის ტერმინთა ლექსიკონი** **47**

**წყაროები და დამატებითი ლიტერატურა** **51**

# პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის ინსტრუმენტები

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა არის ადამიანის უფლებათა დარღვევა, ქალების პოლიტიკაში მონაწილეობის ხელშემშლელი გარემოება და სერიოზული გამოწვევა დემოკრატიის, მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის ეუთოს წევრ სახელმწიფოებში. საჭიროა, ძალადობის სხვადასხვა ფორმებთან ბრძოლა და მათი აღმოფხვრა პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროდან.

ეუთოს მინისტრთა საბჭოს 2018 წლის გადაწყვეტილება ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ აღიარებს, რომ "ქალები, რომლებიც საჯარო პროფესიულ საქმიანობას ეწევიან, ... შეიძლება დაექვემდებარონ გარკვეული ფორმის ძალადობას ან შევიწროებას, მუქარასა და ჩაგვრას, მათ საქმიანობასთან დაკავშირებით." ამავე დროს, გადაწყვეტილება „მოუწოდებს ყველა შესაბამის აქტორს, მათ შორის, პოლიტიკური პროცესის მონაწილეებს, ხელი შეუწყონ ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის წინააღმდეგ ბრძოლასა და პრევენციას, მათ შორის, იმ ქალების მიმართ, რომელთა პროფესიული საქმიანობა საჯაროა და/ან საზოგადოების ინტერესებს ემსახურება; ამისათვის საჭიროა მოცემული საკითხის წამოწევა საზოგადოებრივ დისკუსიებში, ცნობიერების ამაღლების ინიციატივების შემუშავება და სხვა შესაბამისი ღონისძიებები, მათ შორის, ახალგაზრდა ქალებზე ამგვარი ძალადობის მსუსხავი ეფექტის გათვალისწინებით."

ეუთოს რეგიონში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის წინამდებარე ინსტრუმენტები მიზნად ისახავს ეუთოს წევრი სახელმწიფოების ცნობიერების ამაღლებასა და ცოდნისა და შესაძლებლობების გაძლიერებას პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ეფექტური ღონისძიებების შესამუშავებლად. იგი ხუთ დამოუკიდებელ ინსტრუმენტს მოიცავს:

## ODIHR-ის ინსტრუმენტები ეუთოს რეგიონში პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად

- **ინსტრუმენტი 1 – შესავალი** განმარტავს პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობას და აღწერს ეფექტური პრევენციის, მსხვერპლთა დაცვის, დამნაშავეთა სამართლებრივი დევნისა და პოლიტიკის კოორდინაციის საკითხებს.

- **ინსტრუმენტი 2 – პარლამენტებისთვის** წარმოადგენს მონაცემებსა და კარგი პრაქტიკების ნიმუშებს პარლამენტებისთვის სახელმძღვანელოდ და პარლამენტში და პარლამენტს მიღმა ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ღონისძიებების შესამუშავებლად.

- **ინსტრუმენტი 3 – პოლიტიკური პარტიებისთვის** ეხმარება პოლიტიკურ პარტიებს, გადადგან ნაბიჯები თავიანთ სტრუქტურებში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

- **ინსტრუმენტი 4 – სამოქალაქო საზოგადოებისთვის** მიმოიხილავს სამოქალაქო საზოგადოებისა და ქალთა მოძრაობების როლს პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

- **ინსტრუმენტი 5 – პოლიტიკაში ჩართული ქალებისთვის** წარმოადგენს გზამკვლევს ამ სახის ძალადობის შედეგად პირდაპირ ან არაპირდაპირ დაზარალებული ქალებისთვის იმის შესახებ, თუ როგორ მიიღონ დახმარება და დაცვის საშუალებები.

# შესავალი

**"რაც უფრო აქტიურად ჩავერთე მაღალი დონის გადაწყვეტილებების მიღებაში, მით უფრო მნიშვნელოვანი გახდა ჩემთვის პოლიტიკაში ჩართულ ქალთა მხარდაჭერა. მათ გამიძლიერეს რწმენა , რომ ყოველ ჯერზე, როცა ქალს თავს ესხმიან, ჩვენი საერთო მოვალეობაა ხმის ამაღლება და ძალადობაზე უარის თქმა".**[1]

ქალები გენდერული ტიპის ძალადობას ცხოვრების ყველა სფეროში ხვდებიან. ამ მხრივ, პოლიტიკა არ წარმოადგენს გამონაკლისს. პოლიტიკაში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობა აუცილებელია წარმატებული, დემოკრატიული საზოგადოებების, ეკონომიკური ზრდის და ყველასთვის სასარგებლო მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად. პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობამ შესაძლოა, ხელი შეუშალოს ქალთა წვდომას როგორც საკანონმდებლო, ისე მარეგულირებელ სფეროებზე, სადაც გენდერული თანასწორობა სიტყვებიდან ქმედებებში გარდაიქმნება. სწორედ ამ სივრცეში ხდება გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის პრევენციაზე მიმართული ინიციატივების განხილვა და მიღება.

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა ჯერ კიდევ საკმაოდ ხშირად უმნიშვნელოდ მიიჩნევა და პოლიტიკაში ყოფნისთვის „ქალის მიერ გადასახდელ ფასსაც" კი უწოდებენ. ამ მენტალიტეტის შესაცვლელად ძალიან მნიშვნელოვანია ცნობიერების ამაღლება სექსიზმისა და პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ და ასევე, ამგვარი ძალადობის ეფექტურად აღმკვეთი კანონების, პოლიტიკისა და ზომების მიღება და განხორციელება.

ამ ფენომენის გასაგებად აუცილებელია, გენდერული ნიშნით ძალადობას შევხედოთ, როგორც ადამიანის უფლებების დარღვევის ერთ-ერთ ფორმას და, ამავე დროს, სააშკარაოზე გამოვიტანოთ პოლიტიკის სფერო, როგორც კონკრეტული სივრცე, სადაც ადგილი აქვს ამგვარ ძალადობას. პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთის გზით  პოლიტიკაში ქალთა ჩართვის ბარიერების მოხსნის ხელშეწყობა უმნიშვნელოვანესია, რომ უზრუნველყოფილი იყოს პოლიტიკისა და დემოკრატიული ჩართულობის ხელმისაწვდომობა ყველასთვის და შეიქმნას გენდერულად მრძნობიარე პოლიტიკური პარტიები და პარლამენტები, რომლებიც ყველა მოქალაქის საჭიროებებსა და ინტერესებს გამოხატავენ.

1 ყველა თავს ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს იმ ქალი პოლიტიკოსების ციტატები, რომელთაც ანიკა ოჯალა გაესაუბრა.

ქალთა უფლება, მიიღონ მონაწილეობა პოლიტიკაში მამაკაცებთან თანაბარ პირობებში (როგორც ამომრჩევლების, ისე კანდიდატების სახით), საერთაშორისო კანონმდებლობით არის დაცული, მაგალითად, გაეროს კონვენციით ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW, მე-7 და მე-8 მუხლები), ასევე, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით (ICCPR, მუხლი 25). ეს უფლება ასევე ნახსენებია, მაგალითად, პეკინის სამოქმედო პლატფორმასა და მდგრადი განვითარების მიზნებში.

---

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დარღვევაა. იგი არღვევს სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს პოლიტიკურ პროცესებში ქალების სრულფასოვანი, თავისუფალი და უსაფრთხო მონაწილეობა.

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის ფორმაა: „...ქალთა მიმართ ძალადობის სამიზნე ქალები არიან მათი სქესის გამო და იგი გენდერული ძალადობის ფორმებს იძენს, როგორიცაა, მაგალითად სექსისტური მუქარა, სექსუალური შევიწროება და ძალადობა. მისი მიზანია, ქალებს უარი ათქმევინოს პოლიტიკაში აქტიურობასა და საკუთარი უფლებების რეალიზაციაზე და ასევე, გავლენა მოახდინოს, შეზღუდოს ან აღკვეთოს ქალების, როგორც ინდივიდების და როგორც ჯგუფის, მონაწილეობა პოლიტიკაში".[2]

ქალთა მიმართ ძალადობა არასდროს არ არის დასაშვები. სახელმწიფოებს აქვთ ვალდებულება, სისხლის სამართლებრივად დასჯადი გახადონ ქალთა მიმართ ყველა ფორმის ძალადობა.[3]

---

წინამდებარე დოკუმენტში 'პოლიტიკაში ჩართული ქალები' გულისხმობს იმ ქალებს, რომლებიც ოფიციალურ პოლიტიკურ როლებში გვევლინებიან, მაგალითად, კანდიდატები, პოლიტიკური პარტიების წევრები და არჩეული და დანიშნული ოფიციალური პირები.

2 გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში ქალთა მიმართ ძალადობის, მისი მიზეზების და პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობაზე მისი გავლენის შესახებ, A/73/301 - E - A/73/301, 2018, <https://digitallibrary.un.org/record/1640483>.

3 იხილეთ ზოგადი რეკომენდაცია #35 ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის შესახებ, რომელიც მე-19 რეკომენდაციის განახლებაა, CEDAW-ს კომიტეტი, 2017, CEDAW /C/GC/35, <https://digitallibrary.un.org/record/1305057>; კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის შესახებ (სტამბოლის კონვენცია), ევროპის საბჭო, სტამბოლი, 11 მაისი, 2011, მუხლი 3.a. <https://rm.coe.int/168008482e>.

მეტი ძალისხმევაა საჭირო გენდერული ძალადობის მიმართ არსებულ სიჩუმის კულტურასთან საბრძოლველად, ხმის ასამაღლებლად და ამგვარი ძალადობის ფაქტების შესახებ ინფორმაციის შესაბამის ნაციონალურ და საერთაშორისო ორგანოებისთვის მისაწოდებლად, რათა ბოროტმოქმედებს მოეთხოვოთ პასუხი და სისტემური ცვლილებები მოხდეს ქალთა და მამაკაცთა პოლიტიკურ და საჯარო ცხოვრებაში თანასწორობის მიღწევისა და გენდერული ძალადობის აღმოფხვრის გზაზე.[4] წინამდებარე ინსტრუმენტი პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობაზე აკეთებს აქცენტს, მაგრამ ასევე აღიარებს, რომ პოლიტიკურ ძალადობას გენდერული ფორმები აქვს და, მაგალითად, ის მამაკაცები, რომლებიც გენდერული თანასწორობის, დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და სოციალური სამართლიანობის სხვა საკითხების ადვოკატირებას ეწევიან, შეიძლება, ძალადობისა და შევიწროების მზარდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ.[5]

წინამდებარე ინსტრუმენტის მიზანია ამ საერთაშორისო პრობლემის სხვადასხვა პერსპექტივიდან გადაწყვეტის გზების აღწერა. დოკუმენტში განხილულია სხვადასხვა არსებული პრაქტიკები, რომლებიც ეუთოს რეგიონში ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობასა და უსაფრთხოებას უწყობენ ხელს. დოკუმენტი რამდენიმე ნაწილად იყოფა: პირველ ნაწილში განხილულია პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის ფორმები და გამოვლინებები, ასევე, მათი შედეგები. მომდევნო ნაწილში მოცემულია პრევენციის, დაცვის, უსაფრთხოების, შეტყობინებისა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის შესახებ რჩევები და რეკომენდაციები პოლიტიკაში ჩართული ქალებისთვის. ბოლო ნაწილი, რომელიც განკუთვნილია როგორც ქალი, ისე მამაკაცი პოლიტიკოსებისთვის, შეეხება იმას, თუ როგორ უნდა გაუწიოთ დახმარება კოლეგას, რომელიც ძალადობას განიცდის და რა შეუძლიათ პოლიტიკოსებს, როგორც გადაწყვეტილებების მიმღებ პირებს, გააკეთონ პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლისა და პრევენციის კუთხით. არაერთმა პოლიტიკოსმა ქალმა გაგვიზიარა თავისი გამოცდილება და მოგვაწოდა რჩევები წინამდებარე ინსტრუმენტისთვის.[6]

> მართალია, წინამდებარე ინსტრუმენტის თემა საკმაოდ არასასიამოვნოა, პოლიტიკა შეიძლება იყოს ძალიან სასიამოვნო პროცესი, პოზიტიური შთაგონების ძლიერი წყარო და ჩვენს საზოგადოებებზე ზეგავლენის მოხდენის ინსტრუმენტი. წინამდებარე ინსტრუმენტის მიზანი არ არის, ვინმეს უარი ათქმევინოს პოლიტიკაში შესვლასა ან დარჩენაზე, არამედ იყოს გზამკვლევი, რომელიც უკეთ მოამზადებს მათ იმ უარყოფითი მხარეებისთვის, რაც თან ახლავს ქალთათვის პოლიტიკაში მონაწილეობას.

4 *Op. cit.*, სქ. 2.

5 იხილეთ შესავალი ინსტრუმენტი, რომელშიც ქალთა მიმართ ძალადობასა და გენდერული ნიშნით პოლიტიკურ ძალადობას განიხილავს.

6 ავტორი ესაუბრა ფინეთის პარლამენტის წევრს, ევა ბიოდეს და გაერთიანებული სამეფოს პარლამენტის წევრს, ჯეს ფილიპს, ასევე, სხვა ქალ პოლიტიკოსებს (რომლებაც ანონიმურად დარჩენა ამჯობინეს) მათი გამოცდილებისა და ქალი პოლიტიკოსების მიმართ მათი პრაქტიკული რჩევების შესახებ.

# პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის ფორმები და გამოვლინებები

> **“მქონდა შეგრძნება, რომ ეს შეტევა არა იმდენად ჩემ წინააღმდეგ, არამედ იმის წინააღმდეგ იყო, რასაც წარმოვადგენ, როგორც შავკანიანი ქალი, რომელიც ადგილს იკავებს პოლიტიკაში”.**

როცა პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლას ეხება საქმე, აუცილებელია იმის ხაზგასმა, რომ ქალები ძალადობის სამიზნეები ხდებიან იმიტომ, რომ ქალები არიან და ასევე იმიტომ, რომ პოლიტიკაში მონაწილეობენ.

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა, როგორც გენდერული ძალადობის ფორმა, მიზნად ისახავს, ხელი შეუშალოს ქალებს პოლიტიკაში მონაწილეობასა და ძალაუფლების მიღებაში. ეს გლობალური ფენომენია, რომელსაც გეოგრაფიული საზღვრები არ გააჩნია და ამიტომ შეიძლება შეეხოს ეუთოს წევრ სახელმწიფოებში მცხოვრებ ყველა ქალს. ძალადობის მსხვერპლი შეიძლება გახდეს პოლიტიკაში ჩართული ნებისმიერი ქალი, მისი წარმომავლობის, რელიგიის ან სოციალური კუთვნილების მიუხედავად. თუმცა, მნიშვნელოვანია იმის აღიარებაც, რომ ქალთა მიმართ ძალადობას შეიძლებას თან ახლდეს რასიზმი, ეიბლიზმი, ჰომოფობია და დისკრიმინაციის სხვა ფორმები.

ძალადობა ყოველთვის გარედან არ მომდინარეობს, იგი პარტიის ან დემოკრატიული ინსტიტუტების შიგნითაც ხდება. დაშინებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ‘შრომის ადგილზე’, მაგალითად, დარბაზში ან საპარლამენტო სესიის დროს (იხილეთ ინსტრუმენტები პარლამენტებისა და პოლიტიკური პარტიებისთვის) და მოძალადე შეიძლება იყოს ნებისმიერი სქესის.

**პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის** ოთხი ფორმა არსებობს:

როგორც წესი (თუმცა არა ექსკლუზიურად), ეს ფორმები შემდეგი სახით ვლინდება[7]:




შესავალ ინსტრუმენტში იხილეთ საერთაშორისო სტანდარტები პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის შესახებ, ასევე, ინფორმაცია პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის მასშტაბის შესახებ.

7 ძალადობის ფორმების შესახებ იხილეთ, მაგ., „სახელმძღვანელო: პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია“, UN Women, ნიუ იორკი, 4 ივლისი, 2021, გვ. 4, <https://www.unwomen.org/sites/default/files/Headquarters/Attachments/Sections/Library/Publications/2021/Guidance-note-Preventing-violence-against-women-in-politics-en.pdf>; „ძალადობა ქალი ჟურნალისტებისა და პოლიტიკოსების მიმართ: მზარდი კრიზისი“, ევროპის საპარლამენტო ასამბლეის სპეციალური წარმომადგენელი გენდერულ საკითხებში, წლიური ანგარიში:2021, <https://www.oscepa.org/en/documents/special-representatives/gender-issues/report-17/4247-2021-report-by-the-special-representative-on-gender-issues-violence-against-women-journalists-and-politicians-a-growing-crisis/file>.

## ქალთა მიმართ ონლაინ ძალადობა

პოლიტიკაში ჩართული ქალები საზოგადოების დაკვირვების ქვეშ ცხოვრობენ და ამიტომ მეტად ექვემდებარებიან **ციფრულ ან ონლაინ ძალადობას,** ვიდრე ქალები, რომლებიც პოლიტიკურ ასპარეზზე არ გამოდიან. პოლიტიკოსების გარეგნობა, ხმის ტემბრი და უბრალოდ არსებობაც კი მუდმივად საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრშია, რადგან მათი გამოსახულებები და ვიდეოები მსოფლიოში ძალიან სწრაფად ვრცელდება (ონლაინ ძალადობის ტერმინთა ლექსიკონის სანახავად იხილეთ დანართი 1).

GREVIO-მ (ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის ევროპის საბჭოს ექსპერტთა ჯგუფი) 2021 წელს დაამტკიცა პირველი ზოგადი რეკომენდაცია, რომელშიც ქალთა მიმართ ონლაინ ძალადობა შემდეგნაირად არის განმარტებული: ქალთა მიმართ ძალადობის ციფრული განზომილება მოიცავს ონლაინ სივრცეში ან ტექნოლოგიების მეშვეობით განხორციელებული ქმედებების ფართო არეალს, რომელიც წარმოადგენს ძალადობის კონტინუუმის ნაწილს, რომელსაც ქალები და გოგონები განიცდიან მათი სქესის გამო, მათ შორის, ოჯახის გარემოში, და რომელიც ისევე საზიანოა, როგორც ფიზიკურ სივრცეში განხორციელებული ძალადობა გენდერული ნიშნით. GREVIO ციფრულ განზომილებაში ქალთა მიმართ ძალადობას განიხილავს ორი ასპექტის ჭრილში (ინტერნეტში განხორციელებული ქმედებები და ინტერნეტში ხელმისაწვდომი მონაცემები, მათ შორის, ხილული სახით და ჩრდილოვან ინტერნეტში) და ასევე მოიცავს ტექნოლოგიების გამოყენებით (ტექნოლოგიებისა და საკომუნიკაციო ტექნიკის, მათ შორის, აპარატურისა და პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით განხორციელებული ქმედებები) ქალებისა და გოგონების წინააღმდეგ განხორციელებულ საზიანო ქმედებებს ".[8]

როგორც ინტერნეტის გარეთ განხორციელებული ძალადობის, ისე ციფრულ სფეროში ქალთა მიმართ გენდერულ ძალადობას სერიოზული ზეგავლენა აქვს ქალთა და გოგონათა ცხოვრებაზე, მათ შორის, მათ ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ჯანმრთელობაზე, საარსებო წყაროებზე, ფიზიკურ უსაფრთხოებასა და რეპუტაციაზე.[9] ციფრული ტექნოლოგიების მეშვეობით განხორციელებულ ძალადობასა და შევიწროებას საჯარო სივრცეში ქალთა ხმის ჩახშობა შეიძლება მოჰყვეს.[10]

ქალთა მიმართ ძალადობის, მისი მიზეზებისა და შედეგების შესახებ გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა ხაზი გაუსვა, რომ პოლიტიკაში ქალები რეგულარულად ხდებიან ონლაინ ძალადობისა და საინფორმაციო და

8 "GREVIO-ს ზოგადი რეკომენდაცია #1 ქალთა მიმართ ძალადობის ციფრული განზომილების შესახებ", ევროპის საბჭო, 20 ოქტომბერი, 2021, <https://rm.coe.int/grevio-rec-no-on-digital-violence-against-women/1680a49147>.

9 *Ibid.*

10 მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება #4 ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ, ეუთო, MC.DEC/4/18., მილანი, 7 დეკემბერი, 2018, <https://www.osce.org/chairmanship/406019>.

საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეშვეობით განხორციელებული ძალადობის მსხვერპლი.[11] ჩნდება გენდერული ძალადობის ისეთი ფორმები, როგორიცაა „დიფფეიკი", „ზუმბომბინგი" და გენდერული დეზინფორმაციის კამპანიები (ტერმინთა ლექსიკონის სანახავად იხილეთ დანართი 1). პოლიტიკოსების ინბოქსები ივსება სიძულვილის ენის შემცველი, მუქარის მესიჯებითა და ჰიპერსექსუალიზებული გამოსახულებებით. პოლიტიკაში ჩართულ ქალთა უმრავლესობა ამ ტიპის ძალადობას ყოველდღიურად განიცდის და ძალიან ხშირად, ამაზე არც საუბრობენ. პოლიტიკაში ქალთა მიმართ ონლაინ ძალადობა ნათელი მაგალითია იმისა, ძალადობის კიდევ რა შესაძლებლობებს ქმნის ახალი ტექნოლოგიების გამოყენება.

## ძალადობის კონტინუუმი

მართალია ძალადობის თითოეული აქტი სერიოზულია და უნდა ისჯებოდეს, ძალადობრივი ქმედებები, როგორც წესი, არ არის ხოლმე ერთჯერადი ხასიათის, არამედ ეს არის კონკრეტული მსხვერპლის მიმართ სტრუქტურული ძალადობის, ფსიქოლოგიური ძალადობისა და შედარებით უფრო შეუმჩნეველი დისკრიმინაციული ქმედებების კონტინუუმი. ხშირად ამგვარი ძალადობა ერთმანეთთან დაკავშირებული ქმედებების სახით ვლინდება. ფემინისტი მკვლევრები ხაზს უსვამენ იმას, რომ ქალთა მიმართ ძალადობა უნდა განვიხილოთ ქმედებების ერთობლიობად, რომელიც სხვადასხვა ტიპის ქცევებს მოიცავს და რომ ყველა ეს ქცევა ზეგავლენას ახდენს მსხვერპლის თვითშეფასებაზე, ემოციურ კეთილდღეობასა და მენტალურ ჯანმრთელობაზე.[12] ეს ლოგიკა პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობასაც ეხება: მათ წინააღმდეგ მიმართული ძალადობის ფაქტები იშვიათად წარმოადგენს ცალკეულ შემთხვევებს, უფრო ხშირად ადგილი აქვს ქმედებების ერთგვარ სერიას, რომლის მიზანია პოლიტიკოსი ქალების გაჩუმება, მათთვის ზიანის მიყენება და ასევე ის, რომ ხელი ააღებინონ პოლიტიკაში დარჩენის სურვილზე.

## გარე და შიდა ძალადობა

პოლიტიკოსმა ქალებმა, რომლებმაც წინამდებარე დოკუმენტის ავტორს გაუზიარეს საკუთარი გამოცდილება, ხაზი გაუსვეს ორმაგი 'კონტროლის' ფორმას. მათი თქმით, ერთი მხრივ, გარე სამყარო მუდმივად ცდილობს პოლიტიკაში ქალის კონტროლს, როცა აფასებს მის გარეგნობას, ხმის ტემბრსა და მოქმედებებს, და აფასებს, პირველ რიგში, მას, როგორც ქალს, სხეულს და ობიექტს, და არა – როგორც პოლიტიკოსს. ისინი ხდებიან სექსუალური შინაარსის კომენტარებისა და მინიშნებების, ასევე, მუქარისა და ძალადობის ობიექტი სრულიად უცნობი ადამიანების მხრიდან მხოლოდ იმის გამო, რომ პოლიტიკურად აქტიური ქალები არიან.

11 *Op. cit.*, სქ. 2.

12 ჯონი კონორსი და მიშელ ჰარვეი, „მამაკაცი-ქალის ძალადობის კონტინუუმი." *Family Violence & Sexual Assault Bulletin* 11: 31–35, 1995

მეორე მხრივ, ქალებს ძალადობის კიდევ ერთ ტალღასთან უწევთ გამკლავება, რომელიც თავად პოლიტიკური სტრუქტურების შიგნიდან მომდინარეობს. გამოკითხულმა ქალებმა დეტალურად ისაუბრეს დამცირების, შეურაცხყოფისა და სექსიზმის ფაქტების შესახებ, რაც მათ განუცდიათ პარლამენტის დარბაზებში, დერეფნებსა თუ ინბოქსებში. ამ ორმაგ რეალობაში გზის გაკვლევა უაღრესად რთულია. ერთ-ერთმა გამოკითხულმა ქალმა ისაუბრა დემოკრატიების დაფარულ მხარეზე, სადაც ბევრ ქალს, კოლეგისგან განცდილი ძალადობის შემდეგ, უტირია პარლამენტის შენობის დერეფნებში.

## ინტერსექციურობა

> **"როდესაც სიძულვილის ენის შემცველ შეტყობინებებს ვიღებ, მათ ვიღებ, როგორც ქალი, ლესბოსელი, ფერადკანიანი ქალი, რომელიც მიგრანტების ოჯახიდანაა და რომელიც მუსლიმად აღიქმება. ინტერსექციურობის ელემენტი კვლავ უგულებელყოფილია, როცა ძალადობისგან ჩვენს დაცვაზეა საუბარი."**

ქალებს მრავალგვარი იდენტობები აქვთ და მრავალმხრივ დისკრიმინაციას განიცდიან. ქალთა გამოცდილება პოლიტიკაში მხოლოდ გენდერით არ შემოიფარგლება. ქალთა მიმართ ძალადობის ინტერსექციურობაზე ჩატარებული კვლევა ცხადყოფს, რომ პოლიტიკაში ჩართული ქალების მიმართ ძალადობა არ შემოიფარგლება მხოლოდ გენდერული ნიშნით, არამედ დისკრიმინაციის ბევრი სხვა ფორმის თანაკვეთას გულისხმობს.[13]

პოლიტიკაში ჩართული ზოგიერთი ქალი, სხვებთან შედარებით, შესაძლოა, უფრო მეტად დაექვემდებაროს გენდერული ნიშნით ძალადობას, მათ შორის არიან: ადამიანის უფლებათა დამცველები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალები, ახალგაზრდა ქალები, აბორიგენი ქალები, ლესბოსელი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ინტერსექსუალი აქტივისტები, ოპოზიციის ან უმცირესობათა ჯგუფების წევრები და ასევე, განსხვავებული ან 'საკამათო' შეხედულებების მქონე ქალები.[14]

13 რებეკა კუპერბერგი, " პოლიტიკაში ქალთა მიმართ ინტერსექციური ძალადობა", *Politics & Gender*, 14.4, დეკემბერი, 2018, გვ. 685 – 690, <https://doi.org/10.1017/S1743923X18000612>.

14 *Op. cit.*, სქ. 2.

# ძალადობის შედეგები და მისი ზეგავლენა პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობაზე

**"საზოგადოებაში არსებობს წარმოდგენა, რომ თუ ხარ პოლიტიკოსი, ანუ საჯარო მოხელე, ყველას უნდა ჰქონდეს შენს სივრცეზე, შენს სხეულზე წვდომის უფლება.**

**მაგრამ მასწავლებლები და პოლიციელებიც ხომ საჯარო მოხელეები არიან?!**

**მიხვალთ პოლიციელთან და შეურაცხყოფას მიაყენებთ?**

**ამის გამო ხომ მაშინვე დაგაპატიმრებენ?!**

**ასე რომ, არა, არ მგონია რომ სქელკანიანი უნდა გავხდე იმისთვის, რომ პოლიტიკაში ვიყო.**

**თქვენ უნდა შეცვალოთ ქცევა და შეწყვიტოთ პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა!"**

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობას სხვადასხვაგვარი, სერიოზული და მავნე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ქალების მენტალურ და ფიზიკურ ჯანმრთელობაზე, უსაფრთხოებაზე, შემოსავალზე, სამსახურზე, საკუთრებასა და პოლიტიკურ მონაწილეობაზე. ქალებმა შეიძლება პოლიტიკისგან დისტანცირება გადაწყვიტონ ან უარი თქვან არჩევნებში მონაწილეობაზე და ამას მსუსხავი ეფექტი ჰქონდეს მათზე. ქალთა მიმართ ძალადობა ზეგავლენას ახდენს ამ ქალების ოჯახსა და თემზეც.

საზოგადოებრივ დონეზე, ძალადობა ზეგავლენას ახდენს პროდუქტიულობაზე და ამას სერიოზული სოციალური და ეკონომიკური ფასი აქვს. მაგალითად, გენდერული თანასწორობის ევროპული ინსტიტუტის (EIGE) მონაცემებით, ევროპის კავშირში ქალთა მიმართ ძალადობის შედეგად მიღებული ზარალი წელიწადში 289 მილიარდ ევროს შეადგენს.[15]

15 "გენდერული ძალადობის ფასი ევროპის კავშირში", EIGE, 28 ოქტომბერი, 2021, <https://eige.europa.eu/publications/costs-gender-based-violence-european-union>.

ODIHR-ის დაკვეთით ჩატარებული კვლევები[16] მოწმობს, რომ **პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობას სერიოზული ზეგავლენა აქვს ქალ პოლიტიკოსებზე.** მაგალითად, ამ კვლევების ფარგლებში გამოკითხული ქალი პოლიტიკოსების თქმით, ძალადობამ შემდეგი შედეგები გამოიწვია:

- პოლიტიკური კარიერის დასრულების შესახებ გადაწყვეტილება
- სტრესი
- შიში საკუთარი და ოჯახის უსაფრთხოების გამო
- იზოლაცია
- სევდა და ბრაზი
- მოვალეობების შესრულებისა და პოლიტიკური მოსაზრებების გამოხატვის უნარის დაქვეითება
- პარლამენტის წევრად და/ან პოლიტიკოსად მუშაობის გაგრძელების მოტივაციის გაძლიერება
- აგრესიულობის ზრდა და მოძალადეებთან ღიად დაპირისპირების მზაობა.[17]

ამავე დროს, როგორც ეს სერბეთში ჩატარებულ ეუთოს კვლევაში გამოჩნდა, ზოგიერთი ქალი, რომელიც მუდმივ ძალადობას განიცდის, თანდათან ეჩვევა მას და ძალადობა მისი ცხოვრებისა და პოლიტიკური საქმიანობის 'ნორმალურ' ნაწილად იქცევა. ამგვარი 'ნორმალიზაცია', რომც ეხმარებოდეს ქალებს ძალადობის ატანაში და იცავდეს მათ შემდგომი ვიქტიმიზაციისა და ტრავმირებისგან, იმ ფაქტის უგულებელყოფაა, რომ მოძალადემ დანაშაული ჩაიდინა და შეიძლება ხელი შეუშალოს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისთვის საჭირო მექანიზმების შექმნასა და ამოქმედებას.[18]

პოლიტიკაში არსებულ გენდერულ ძალადობაში თავის როლს მედიაც ასრულებს. ქალი პოლიტიკოსები გამოხატავდნენ წუხილს მათი ოჯახის წევრების (განსაკუთრებით, ბავშვების) გამო, რადგან ისინი ძალადობრივი შინაარსის ინფორმაციისა და მედიის მხრიდან დევნის მსხვერპლი ხდებოდნენ. მეორე მხრივ, ზოგიერთი ქალი აცხადებდა, რომ მედიას ძალადობასთან და მოძალადეებთან საბრძოლველად იყენებდნენ.[19]

აღნიშნული მიგნებები შეესაბამება 2018 წელს ევროპის საბჭოსა და IPU-ს მიერ ჩატარებულ კვლევას სახელწოდებით „ქალთა მიმართ სექსიზმი, შევიწროება და

16 "სერბეთში ქალი პოლიტიკოსების მიმართ ძალადობის შესახებ ანგარიში", ეუთო, 1 ოქტომბერი, 2021, <https://www.osce.org/mission-to-serbia/500611>; და Z. Kochorbayeva, N. Prigoda, B. Islanbekova, M. Tyulegenov, " პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა ყირგიზეთის რესპუბლიკაში: კვლევის შედეგები", სოციალური ტექნოლოგიების საგენტო, ეუთოს და ODIHR-ის მხარდაჭერით, 2021 წლის ნოემბერი - 2022 წლის იანვარი, <https://www.osce.org/files/f/documents/c/5/519390.pdf>.

17 *Ibid.*

18 " ქალი პოლიტიკოსების მიმართ გენდერული ძალადობა სერბეთში", *op. cit.*, სქ. 15.

19 *Ibid.*

ძალადობა ევროპის პარლამენტებში".[20] კვლევამ აჩვენა, რომ ქალ პარლამენტარებს, რომლებმაც ძალადობა განიცადეს, ჰქონდათ აღშფოთების, დამცირების, სიბრაზისა თუ სევდის განცდა, ან იყვნენ დეზორიენტირებული (იხ. ქვემოთ მოცემული ცხრილი). ზოგიერთი მათგანის თქმით, ძალადობამ ან შევიწროებამ მათში შფოთვა, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები ან ძილის დარღვევა გამოიწვია[21] გამოკითხული ქალი პარლამენტარების დაახლოებით 53%-მა განაცხადა, რომ ამგვარმა ინციდენტებმა ნორმალურად მუშაობის უნარზე მოახდინა ზეგავლენა. მათი მესამედი საკუთარი ან ახლობლების უსაფრთხოებაზე ნერვიულობდა, ხოლო 33%-ზე მეტმა აღნიშნა, რომ ძალადობის აქტებმა მათი გამოხატვის თავისუფლებასა და მათი უფლებამოსილების ვადაში მოქმედების თავისუფლებაზე მოახდინა ზეგავლენა: აღიარეს, რომ „უფრო თავშეკავებულად" გამოთქვამდნენ საკუთარ აზრსა და პოზიციას, „უფრო ფრთხილები და დაკვირვებულები" გახდნენ და ცდილობდნენ, „ნაკლებად შესამჩნევი" ყოფილიყვნენ.[22] ამ შედეგების მიუხედავად, გამოკითხულთა დაახლოებით 80%-მა განაცხადა, რომ მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი პოლიტიკური საქმიანობის გაგრძლება და შემდეგ არჩევნებში მონაწილეობა[23]

იმავე კვლევის მიხედვით, ქალები იშვიათად მიმართავდნენ შესაბამის ორგანოებს ძალადობისა და შევიწროების შესახებ ინფორმაციით: ამგვარი ინციდენტების შესახებ ძალადობის მსხვერპლი ქალი პარლამენტარების მხოლოდ 23%-მა და პარლამენტებში დასაქმებული ქალების 6%-მა მიმართა შესაბამის ორგანოებს.[24] ქალი პარლამენტარების ნახევარმა, რომლებმაც მიიღეს ფიზიკური ძალადობის მუქარა, მიმართეს პოლიციას, პარლამენტების უსაფრთხოების განყოფილებებს ან სხვა ორგანოებს.[25]

20 "ქალთა მიმართ სექსიზმი, შევიწროება და ძალადობა ევროპის პარლამენტებში", ევროპის საბჭო და IPU, 2018, <https://www.ipu.org/resources/publications/issue-briefs/2018-10/sexism-harassment-and-violence-against-women-in-parliaments-in-europe>.

21 *Ibid.*

22 *Ibid.*

23 *Ibid.*

24 *Ibid.*

25 *Ibid.*

**ევროპაში ქალი პარლამენტარების მიმართ ძალადობის შედეგები და გავლენა (გამოკითხულ ქალთა პასუხები პროცენტებში)**



# უსაფრთხოებასა და მართლმსაჯულებაზე წვდომის უზრუნველსაყოფად საჭირო მხარდაჭერა და ზომები

**"ძალადობის მიუხედავად, პოლიტიკაში მოსვლა ღირს. არასოდეს მარტო არ იქნები. ადამიანებში ბევრი სიკეთეა. ერთი სიძულვილით სავსე გზავნილზე ასი ადამიანის მხარდამჭერი წერილი მოდის. არ დაკარგოთ იმედი."**

როდესაც სამშენებლო მოედანზე შედიხართ, ხედავთ, რომ პერსონალს დამცავი ჩაფხუტები ახურავს. როდესაც პროფესიონალ მძღოლს ხვდებით, ამჩნევთ, რომ ძრავის ჩართვამდე ღვედს იკრავს. როგორც ქალ პოლიტიკოსს, მნიშვნელოვანია, გქონდეთ აუცილებელი ინსტრუმენტები, რომლებიც მოვალეობების შესრულებისას თქვენს უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.

დოკუმენტის წინამდებარე ნაწილში მოცემულია ქალი პოლიტიკოსებისთვის და პოლიტიკოსობის მსურველი ქალებისთვის განკუთვნილი რჩევები და ინსტრუმენტები, რომლებიც პოლიტიკურ ცხოვრებაში მათ მეტად დაცულობას შეუწყობს ხელს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაწილში ყურადღება გამახვილებული იქნება ისეთ ნაბიჯებზე, რომელთა გადადგმა თავად ქალებს შეუძლიათ, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ **ძალადობა და შევიწროება არასოდეს არ არის მსხვერპლის ბრალი.** ძალადობრივ ქმედებებზე პასუხისმგებლობა მოძალადეებს და იმ სტრუქტურებს ეკისრებათ, რომლებიც ძალადობას შესაძლებელს ხდიან და პრიორიტეტად ქალთა უსაფრთხოება არ აქვთ დასახული, მათ შორის, იგულისხმება მთავრობები, პარლამენტები და სოციალური მედია პლატფორმები. ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია ამ სტრუქტურების ცვლილებებისკენ უნდა იყოს მიმართული. ამავე დროს, ქალები ვერ მოიცდიან, სანამ ეს მოხდება. მათ გზა უნდა გაიკვლიონ თანამედროვე პოლიტიკაში, საზოგადოებასა და ციფრულ სამყაროში და წინამდებარე დოკუმენტის ამ ნაწილში მოცემულია პრაქტიკული რჩევები, რომ რაც შეიძლება უსაფრთხოდ შეძლონ ამის გაკეთება. ამ ნაწილის მიზანი არ არის შესაძლო ნაბიჯების ამომწურავი ჩამონათვალის გაკეთება, არამედ – პოლიტიკაში ჩართული ქალებისთვის საწყისი პრაქტიკული რჩევებისა და ინსტრუმენტების შეთავაზება.

ძალადობა და შევიწროება ტრავმის გამომწვევი დარღვევებია. ამგვარი ფაქტების ხილვამაც კი შეიძლება გამოიწვიოს შფოთვა ან წარსული გამოცდილება გაგვახსენოს. ძალადობა და შევიწროება არასდროს არ არის დასაშვები და ყოველთვის სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ.

რადგან ეუთოს წევრ სახელმწიფოებში სიტუაციები და კონტექსტები საკმაოდ განსხვავებულია, წინამდებარე რჩევები სხვადასხვა პირობებსა და ძალადობის სხვადასხვა ფორმებზეა მორგებული (აქედან, შესაძლოა, ყველა არ იყოს თქვენთვის აქტუალური). პოლიტიკოსებს, პოლიტიკაში ჩართულობის ხარისხის მიხედვით, სხვადასხვა რესურსებზე მიუწვდებათ ხელი. პოლიტიკოსებს, ვისაც ასისტენტი ჰყავს ან პარლამენტის უსაფრთხოების სამსახურზე აქვს წვდომა, სხვა შესაძლებლობები აქვთ, ვიდრე მათ, ვინც მომავალში აპირებს პოლიტიკოსობას ან ადგილობრივ პოლიტიკურ საქმიანობაშია ჩართული.

მნიშვნელოვანია იმის გამეორება, რომ პოლიტიკაში ქალები სხვადასხვა სახის ძალადობას, შევიწროებასა და დისკრიმინაციას განიცდიან. სქესისა და გენდერის ნიშნით დისკრიმინაციასთან ერთად, ძალადობასა და შევიწროებას ხშირად თან ახლავს დისკრიმინაციის სხვა ფორმები (ეთნიკური, შეზღუდული შესაძლებლობების, კლასობრივი, სექსუალური ორიენტაციის ნიშნით და ა.შ.), რაც კიდევ უფრო ამძიმებს მას. ძალადობისა და შევიწროების ფორმის შესაბამისად, სასურველია, შესაბამისი (და არა მხოლოდ სქესისა და გენდერის ნიშნით) ჯგუფების მხარდაჭერის მიღება.

ყველა იმ სიტუაციაში, რომლებიც პირდაპირ რისკს წარმოშობს, შეინარჩუნეთ კავშირი ადგილობრივ გადაუდებელი დახმარების სამსახურებთან და სამართალდამცავ ორგანოებთან, თუ ამის გაკეთება უსაფრთხოა თქვენს სიტუაციაში.

## პრევენცია და დაცვა: რისი გაკეთება შეგიძლიათ პოლიტიკაში მოსვლამდე ან ნებისმიერ ინციდენტამდე?

მომზადება ერთ-ერთი წინაპირობაა იმისთვის, რომ პოლიტიკაში უფრო უსაფრთხოდ იგრძნოთ თავი. თქვენი უსაფრთხოებისა და სოციალურ მედიაში უსაფრთხო აქტივობის უზრუნველყოფა უფრო თავდაჯერებულს გაგხდით. დღევანდელ პოლიტიკაში, დიდი ალბათობით, თქვენც შეიძლება გახდეთ რაიმე სახის ონლაინ შევიწროების სამიზნე და რაც უფრო დაცული იქნება თქვენი ონლაინ აქტივობა, მით უფრო კარგად შეძლებთ შევიწროებასთან გამკლავებას.

## აიმაღლეთ ცნობიერება და გაზარდეთ შესაძლებლობები [წინამდებარე ტექსტში მოცემულია სასარგებლო ბმულები/QR კოდები]

რაც უფრო კარგად იქნებით გარკვეული თქვენს ფიზიკურ გარემოსა და ვირტუალურ გარემოში და რაც უფრო კარგად გეცოდინებათ, როგორ უნდა მოახდინოთ ამ სივრცეებში ნავიგაცია, მით უფრო კარგად შეძლებთ, თავიდან აიცილოთ პანიკა, თუ რაიმე ინციდენტს ექნება ადგილი. იყავით ცნობისმოყვარე და არ შეგეშინდეთ, აიმაღლოთ ცნობიერება და გაზარდოთ შესაძლებლობები, რადგან შემდეგ ეს შთაგონების წყარო უფრო იქნება, ვიდრე – სტრესის.

- გაეცანით თქვენი ქვეყნის კანონმდებლობას **გენდერული თანასწორობის, შევიწროებისა და ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ და სისხლის სამართლის კოდექსში ძალადობასთან დაკავშირებულ იმ მუხლებს, რომლებიც თქვენ გიცავთ,** მათ შორის, მუხლებს, რომლებიც ციფრულ ძალადობას ეხება. მაშინაც კი, თუ კანონმდებლობაში ციფრული სივრცეები არ არის ნახსენები, ხშირად შესაძლებელია, მაგალითად, პირად ცხოვრებასა და ადევნებასთან დაკავშირებული კანონების გამოყენება ციფრული ძალადობის შემთხვევაში სამართლიანობის მისაღწევად.

- გაეცანით თქვენი ქვეყნის **პოლიტიკური პარტიების, პარლამენტის, რეგიონული ან ადგილობრივი საბჭოების/საკრებულოების რეგლამენტებს, ქცევის კოდექსებსა და უსაფრთხოების პროტოკოლებს** და გაიგეთ, რა მიდგომებია გამოყენებული ქალი პოლიტიკოსების მიმართ ძალადობისა და შევიწროების წინააღმდეგ. ასევე, სასარგებლო შეიძლება იყოს უსაფრთხოების პერსონალთან/ზემოხსენებული ორგანოების საკონტაქტო პირებთან გასაუბრება (იხილეთ ინსტრუმენტი პარლამენტებისთვის და ინსტრუმენტი პარტიებისთვის, სადაც განხილულია პარტიების და საპარლამენტო მექანიზმები).

- დარწმუნდით რომ კარგად გესმით, **რა სახის კვალს ტოვებთ** სხვადასხვა მოწყობილობების გამოყენებისას. მაგალითად:

შეგიძლიათ შეამოწმოთ თქვენი ინტერნეტ აქტივობა *Tactical Tech-ის*[26] სასარგებლო სახელმძღვანელოს მეშვეობით: https://datadetoxkit.org/en/privacy/search/ ; ან

26 Tactical Tech საერთაშორისო არაკომერციული ორგანიზაციაა, რომელიც ტექნოლოგიების, ადამიანის უფლებების და სამოქალაქო თავისუფლებების საკითხებზე მუშაობს. იხილეთ: <https://www.tacticaltech.org/>.

ჩაატარეთ სწრაფი ტესტი *Trace my Shadow*-ს გამოყენებით (ეს რესურსი არ არის განახლებული, თუმცა მაინც სასარგებლოა): https://myshadow.org/trace-my-shadow

- გაიგეთ, რომელი **ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები ეხმარებიან ქალებს,** რომლებმაც განიცადეს ან განიცდიან ძალადობას. ეუთოს ზოგიერთ ქვეყანაში არსებობენ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც კონკრეტულად ქალ პოლიტიკოსებს ან საჯარო ცხოვრებაში აქტიურად ჩართულ ქალებს (მაგალითად, ჟურნალისტებს) ეხმარებიან. ბევრ არასამთავრობო ორგანიზაციას **კონფიდენციალური სატელეფონო დახმარების სერვისები, ჩეთები და ურთიერთდახმარების ჯგუფები** აქვთ იმ ქალებისთვის, რომლებმაც რაიმე სახის ძალადობა განიცადეს. თქვენს **პარლამენტს ან პარტიის ქალთა ორგანიზაციას** ასევე შეიძლება მიმართოთ დახმარებისა და რჩევებისთვის.

*ძალადობის წინააღმდეგ ქალთა ევროპულ ქსელს* (WAVE ქსელი), რომელიც ევროპის 150-ზე მეტ ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციას აერთიანებს, აქვს ძიების სერვისი და ძალადობის მსხვერპლ ქალთა დახმარების ევროპაში არსებული 1500-ზე მეტი სამსახურის მოძიება შეუძლია. https://wave-network.org/find-help/

- დარწმუნდით, რომ თქვენს მოწყობილობებზე მხოლოდ თქვენ გაქვთ კონტროლი, თქვენვე ახდენთ განახლებას და გესმით თქვენი **მოწყობილობების უსაფრთხოების ფუნქციები,** მაგალითად, GPS-ისა და ადგილმდებარეობის გაზიარების ფუნქციების გამორთვა.

მაგალითად, iPhone-ისთვის იხილეთ: https://support.apple.com/en-us/HT207092

- დაცვისა და უსაფრთხოების ტაქტიკის გასაუმჯობესებლად, **დაფიქრდით, რას ნიშნავს დაცულობა და უსაფრთხოება თქვენთვის** და რა გაგრძნობინებთ თავს დაცულად.

შეგიძლიათ *Tactical Tech*-ის მიერ შემუშავებული ეს სავარჯიშო გამოიყენოთ, რომელიც ჰოლისტური უსაფრთხოების სახელმძღვანელოშია მოცემული: https://holistic-security.tacticaltech.org/exercises/prepare/1-1-reflecting-on-existing-security-practices.html

ადგილობრივ ხელისუფლებათა ასოციაციას აქვს გაერთიანებულ სამეფოში არსებული საბჭოების წევრებისთვის შემუშავებული გზამკვლევი შევიწროების, ძალადობისა და დაშინების წინააღმდეგ, სადაც მოცემულია რჩევები, მათ შორის, სახლში და საჯარო შეხვედრებზე უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ.[27]https://www.local.gov.uk/councillors-guide-handling-harassment-abuse-and-intimidation

- გაიგეთ მეტი **ტექნოლოგიების უსაფრთხოდ გამოყენების მეთოდებისა** და პირადი ცხოვრების დაცვის შესახებ.

იხილეთ, მაგალითად, Tech Safety-ს პროექტი ოჯახში ძალადობის აღკვეთის ეროვნული ქსელი. მართალია აქ მოცემული ინფორმაციის ნაწილი ოჯახში ძალადობაზეა ფოკუსირებული და აშშ-ის კონტექსტს ეხება, ინფორმაციის საკმაოდ დიდი ნაწილი სხვა ქვეყნებშიც შეიძლება იქნას გამოყენებული. იგი ხელმისაწვდომია როგორც აპლიკაციის სახით, ისე ვებგვერზე. https://www.techsafetyapp.org/home

ევროპელ ქალთა ლობი (EWL), ევროპის კავშირში ქალთა ასოციაციების ყველაზე დიდი ქოლგა ორგანიზაცია, #HerNetHerRights ტრენინგებს მართავს პოლიტიკაში ჩართული ქალებისთვის და ტექნოლოგიებსა და ციფრულ სივრცეებთან დაკავშირებით პრაქტიკულ რჩევებს, მხარდაჭერასა და იურიდიულ კონსულტაციას სთავაზობს. თუ ევროპის კავშირში ხართ, შეგიძლიათ, სთხოვოთ EWL-ის ეროვნულ ოფისს ამ ტრენინგის ჩატარება და თქვენც დაესწროთ.

- #ShePersisted-ს აქვს ციფრული მედეგობის ინსტრუმენტები პოლიტიკაში ჩართული ქალებისთვის, რომელშიც მოცემულია ციფრულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რჩევები და დახმარება.[28]

- გახსოვდეთ, რომ, ხშირად, რაც მეტ ძალაუფლებას და პრესტიჟს მოიპოვებთ, მით მეტი ძალადობის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეთ. **კარიერულ წინსვლასთან ერთად, იყავით ფრთხილად და** თქვენი, როგორც პოლიტიკოსის ყოველდღიურ ცხოვრებაში **უსაფრთხოების ზომების დამატებაზე იფიქრეთ.**

27 "საბჭოების წევრთა სახელმძღვანელო შევიწროების, ძალადობისა და დაშინების წინააღმდეგ", ადგილობრივ ხელისუფლებათა ასოციაცია, გაერთიანებული სამეფო, <https://www.local.gov.uk/councillors-guide-handling-harassment-abuse-and-intimidation>.

28 კრისტინა ვილფორი, „ციფრული მედეგობის ინსტრუმენტები პოლიტიკაში ჩართული ქალებისთვის – მისოგინიასა და ციფრული პლატფორმების ჩავარდნებთან ბრძოლა," #ShePersisted, 2022, <https://secureservercdn.net/160.153.137.91/r2g.26a.myftpupload.com/wp-content/uploads/2022/06/ShePersisted_Digital_Resilience_Toolkit.pdf>.

## ონლაინ უსაფრთხოების მაქსიმალურად გაძლიერება

- დარწმუნდით, რომ **თქვენს ოფიციალურ/პროფესიულ ვებგვერდზე** ყველაზე მაღალი **უსაფრთხოების პარამეტრები გაქვთ გამოყენებული.** უსაფრთხოებაში ცოტა მეტი თანხის გადახდა სწორი ინვესტიციაა.

- დარწმუნდით, რომ ყველა საბაზისო რამ გათვალისწინებული გაქვთ. **უსაფრთხოების დარღვევის** ყველაზე გავრცელებული **შემთხვევები** ადამიანური შეცდომითაა გამოწვეული, ამიტომ კარგია, თუ ყურადღებით იქნებით.

იხილეთ, მაგალითად, გუგლის რჩევები უსაფრთხოებასთან დაკავშირებით: https://safety.google/intl/eng/security/security-tips/

- **ორსაფეხურიანი ვერიფიკაცია** თქვენი ანგარიშების დაცვის ყველაზე მარტივ საშუალებას წარმოადგენს. უზრუნველყავით ამ მეთოდის გამოყენება მინიმუმ თქვენი ყველაზე მნიშვნელოვანი ანგარიშების დასაცავად.

- განიხილეთ **პირადი ვირტუალური ქსელის (VPN)** გამოყენების შესაძლებლობა, თუ არ გსურთ ონლაინ აქტივობის კვალის დატოვება; გარდა ამისა, ეს სერვისი თქვენი უსაფრთხოების გაზრდასაც შეუწყობს ხელს.

- თუ შესაძლებელია, ყველა მოწყობილობაში  დააყენეთ **ანტივირუსული პროგრამები.**

- **პროგრამების, პლატფორმებისა და აპლიკაციების შერჩევისას, მათი კონფიდენციალობის პოლიტიკა** შერჩევის ერთ-ერთი კრიტერიუმი უნდა იყოს.

იხილეთ *Tactical Tech*-ის ვებგვერდზე მოცემული სასარგებლო რჩევები:  https://datadetoxkit.org/en/alternative-app-centre/

## გაზარდეთ სოციალური მედიის უსაფრთხოება

### პარამეტრები

იმის მიხედვით, თუ რომელ პლატფორმას იყენებთ, არსებობს სხვადასხვა პარამეტრები, რომლებიც დაგეხმარებათ, გააკონტროლოთ, **რა მასალას ნახავთ და როგორ შეძლებენ ადამიანები თქვენთან ურთიერთობას**. ამ შემთხვევაში, პარამეტრებს, რომლებიც უნდა იცოდეთ და შეამოწმოთ, ხშირად „privacy" და „security"ეწოდებათ.

მაგალითად, როგორც Twitter-ს, ისე Instagram-ს აქვთ პარამეტრები, რომელთა გამოყენებითაც თქვენი გამომწერების გარდა პირდაპირ შეტყობინებებს ვერავინ გამოგიგზავნით. ამით შესაძლებელია გრაფიკული შევიწროების თავიდან აცილება. ასევე, შეგიძლიათ შეზღუდოთ, ვის შეეძლება თქვენს პოსტებზე კომენტარების დატოვება და თქვენი მონიშვნა საკუთარ პოსტებში.

სურვილის შემთხვევაში, ასევე შეგიძლიათ იმ საკვანძო სიტყვების **დაბლოკვა და დამალვა,** რომლებსაც ტროლები ხშირად იყენებენ. ეს თავიდან აგარიდეთ თქვენთვის დამაზიანებელი შინაარსის პოსტების ხილვას. თუმცა, საკვანძო სიტყვების ბლოკირების შედეგად, შესაძლოა, გამოგრჩეთ კრიტიკული დისკუსია, მაგალითად, ძალადობის თემაზე.

შესაძლოა, ნორმალურ შემთხვევაში, გსურდეთ, რომ თქვენი საჯარო პროფილი რაც შეიძლება ღია იყოს, თუმცა, თუ სამიზნე გახდით, უმჯობესი იქნება უფრო **პრივატული რეჟიმის** გამოყენება (იხილეთ ქვემოთ).

საჭიროების შემთხვევაში, თქვენი ანგარიშების ვერიფიკაცია თქვენი პარტიის დახმარებით გააკეთეთ. ამის შედეგად, სოციალური მედიის რამდენიმე პლატფორმაზე გარკვეული სახის უსაფრთხოების ფუნქციები ამოქმედდება.

### კურირება

**წინასწარი დაბლოკვა** თქვენი პოსტებისა და ნიუსფიდის ტროლებისგან ან მოძალადეებისგან დაცვის კარგი სტრატეგიაა. თუ სხვა ადამიანის პოსტის ქვეშ მავნე ან ტროლინგის აშკარა ნიშნების მატარებელ კომენტარს ხედავთ, დაარეპორტეთ და დაბლოკეთ მისი ანგარიში. წინმსწრები დაბლოკვით დროს დაზოგავთ და თავს დაიზღვევთ მომავალი ზიანისგან. ასევე, შეგიძლიათ 'შეზღუდვის და გაჩუმების' (restrict and mute) ფუნქციების გამოყენება თქვენთვის ნაცნობი ადამიანებისთვის, რომელთა დაბლოკვა სოციალური ან პოლიტიკური მიზეზების გამო არ შეგიძლიათ.

**წაშალეთ ტროლები და ყალბი ანგარიშები** კომენტარებიდან და გამომწრებიდან. გარკვეული დროის დახარჯვა თქვენს პოსტებს ქვემოთ კომენტარების ავტორების ან თქვენი გამომწერების ანგარიშებისა და ნიუსფიდების შემოწმებაზე ხელს შეუწყობს თქვენი სოციალური მედიის უსაფრთხოების გაზრდას.

თუ თქვენს ნაცნობს ახალი ანგარიში აქვს, **გადაამოწმეთ** ეს ანგარიში სხვა წყაროს მეშვეობით. შესაძლოა, ეს ყალბი ანგარიში იყოს, რომელიც შევიწროებისა და ე.წ. ფიშინგისთვის გამოიყენება.

საკუთარი ნიუსფიდის კურირებით მისი უფრო სასიამოვნო ადგილად ქცევა შეგიძლიათ, თუ ყურადღებით შეარჩევთ, ვისი და რა ტიპის ანგარიშების გამომწერი გახდეთ. თუ ვინმეს გამოწერა პოლიტიკური გამო დაგჭირდათ, მაგრამ გამოწერის გაუქმება არ გინდათ, შეგიძლიათ მისი გაჩუმება (mute), თუ მისი პოსტები გაწუხებთ. ამგვარად, მედიით სარგებლობა ნაკლებად სტრესული შეიძლება გახდეს.

ასევე, შეგიძლიათ, სთხოვოთ **მეგობრებს ან თანამშრომლებს, დაგეხმარონ სოციალური მედიის ანგარიშების მართვაში** და, ამგვარად, ნაკლებად მოგიწევთ სიძულვილთან შეხება. მიანდეთ სანდო ადამიანებს თქვენი გვერდის მართვა და ამით შეამცირებთ ძალადობასთან ყოველდღიურ შეხებას. დარწმუნდით, რომ თქვენი გუნდის ყველა წევრი იცავს უსაფრთხოების ინსტრუქციებს.

## მოდერირება

დარეპორტებასთან ერთად, **კომენტარების წაშლის ან დამალვის** საშუალებას თითქმის ყველა პლატფორმა იძლევა. როდესაც საკუთარ ანგარიშებზე რამეს პოსტავთ, მნიშვნელოვანია, თვალი ადევნოთ დისკუსიას და უზრუნველყოთ, რომ განხილვები უსაფრთხო და პატივისცემის ატმოსფეროში მიმდინარეობდეს როგორც თქვენთვის, ისე თქვენი გამომწერებისთვის. გაერთიანებული სამეფოს ადგილობრივ ხელისუფლებათა ასოციაციამ **პოლიტიკოსის სოციალური მედიის პროფილზე მონაწილეობის წესები** შეიმუშავა, რომელიც პოლიტიკოსის ოფიციალურ ვებგვერდზე ქვეყ ნდება (აღნიშნული ინსტრუმენტი იხილეთ ქვემოთ):[29]

29 ადგილობრივ ხელისუფლებათა ასოციაცია. გაერთიანებული სამეფო. ციფრული მოქალაქეობა: დახმარება და რესურსები საბჭოების წევრებისთვის. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.local.gov.uk/our-support/guidance-and-resources/civility-public-life-resources-councillors/handling-abuse-and-0>.




## იფიქრეთ პრივატულობაზე

- მისამართის და/ან პირადი ტელეფონის ნომრის საიდუმლოდ შენახვა:

სასურველია, რომ საიდუმლოდ შეინახოთ თქვენი მისამართი და პირადი ტელეფონის ნომერი. გაიგეთ, როგორ არის ეს შესაძლებელი თქვენს ქვეყანაში; ხშირად სატელეფონო კომპანიას ამ მიზნით კონტრაქტის ან დამატებითი სერვისის შემოთავაზება შეუძლია. თუ თქვენი სახელი და გვარი საყოველთაოდ ცნობილია, სასურველია, რომ თქვენი სახელი და გვარი სახლის კარებიდან ან საფოსტო ყუთიდან მოხსნათ. ზოგიერთი პოლიტიკოსი საკუთარი პარტნიორის სახელს ან ინიციალებს იყენებს ადგილზე მიტანის სერვისებისთვის (მაგალითად, სახლში საჭმლის მიტანის სერვისი). ჩამოწერეთ იმ სხვადასხვა ადგილის დასახელება, სადაც თქვენი პერსონალური მონაცემები შეიძლება იყოს ხელმისაწვდომი (მაგალითად, ონლაინ მაღაზიები ან საჭმლის მიტანის სერვისები). დაფიქრდით თქვენი სახელის სიიდან ამოღების თხოვნით მათთვის მიმართვის შესაძლებლობაზე.

- გახსოვდეთ, რომ ფოტოების გამოქვეყნებისას ბევრი მონაცემის გაზიარება ხდება



როდესაც ფოტოს საჯაროდ დებთ, ამით თქვენ მეტამონაცემებსაც აზიარებთ, მაგალითად, თარიღს, დროს, ობიექტივის საკეტის სიჩქარეს და ა.შ.; ამ დროს, ხანდახან, ადგილმდებარეობის გაზიარებაც ხდება. ამ ბმულზე შეგიძლიათ გაიგოთ, რა ტიპის ინფორმაცია მოჰყვება კონკრეტულ ფოტოს: https://exifdata.com

- შეზღუდეთ თქვენი ოჯახის შესახებ ინფორმაციის საჯაროდ გაზიარება

მართალია, თქვენ საჯარო ცხოვრება აირჩიეთ, თუმცა თქვენს ოჯახს შესაძლოა, არ სურდეს საზოგადოების დაკვირვების ქვეშ ყოფნა. განსაკუთრებით, თუ ოჯახში არასრულწლოვნები გყავთ, საჯარო პროფილებზე (მათ შორის, ფოტოებში, პოსტებში და ა.შ.) მათი არ გამოჩენა, უსაფრთხოების მხრივ, კარგი არჩევანია. გარდა ამისა, გაითვალისწინეთ, რა ტიპის ინფორმაციას აზიარებთ მათ შესახებ. თქვენი და თქვენი ოჯახის წევრების პირადი სივრცის საზღვრები კარიერის დასაწყისშივე უნდა დაადგინოთ. დაფიქრდით, ღირს თუ არა სრული საჯაროობა.

- აკონტროლეთ თქვენი ონლაინ იდენტობა და ანგარიშები



დარწმუნდით, რომ ინტერნეტში, შემთხვევით, ისეთ რამეს არ აზიარებდეთ, რისი საჯაროდ გაზიარებაც არ გსურთ. Tactical Tech's Data Detox Kit-ში იხილეთ მარტივი რჩევები იმის შესახებ, თუ როგორ წაშალოთ არასასურველი ინფორმაცია: https://datadetoxkit.org/en/privacy/search/

## უზრუნველყავით ფიზიკური უსაფრთხოება

ეუთოს წევრ ზოგიერთ სახელმწიფოში, სასურველია, კერძო **დაცვის სერვისების** გამოყენება (მაგალითად კერძო, უსაფრთხო ტრანსპორტი ან კერძო დაცვა) განსაკუთრებული საფრთხის შემცველ რეგიონში ვიზიტისას ან გაზრდილი საფრთხეების პერიოდში, იმ შემთხვევაშიც კი, თუ თქვენ პირადად არ ხართ მიზანში ამოღებული.

ზოგადად, ეუთოს წევრ ზოგიერთ ქვეყანაში თქვენი უსაფრთხოებისთვის უმჯობესია მხოლოდ ლიცენზირებული ტაქსის სერვისების გამოყენება.

## #Think10 ინსტრუმენტი – უსაფრთხოების დაცვის გზამკვლევი

2018 წელს ეროვნულმა დემოკრატიულმა ინსტიტუტმა (NDI) **პოლიტიკოსი ქალებისთვის სპეციალური კითხვარი და უსაფრთხოების დაცვის გზამკვლევი შეიმუშავა.** აღნიშნულ კითხვარს ინდივიდუალური უსაფრთხოების მდგომარეობის შეფასება შეუძლია, ხოლო გზამკვლევში ზომიერი, გაზრდილი და მაღალი რისკების დროს უსაფრთხოების გაძლიერებისთვის საჭირო ზომებია მოცემული.[30] კითხვარი და გზამკვლევი ხელმისწვდომია შემდეგ ბმულზე: https://think10.demcloud.org/sites/default/files/questionnaire/Questionnaire-English.pdf

30 Think 10 – კითხვარი და სახელმძღვანელო, NDI, 2018, <https://think10.demcloud.org/sites/default/files/questionnaire/Questionnaire-English.pdf>.

2018 წელს NDI-მ პოლიტიკაში ჩართული ქალებისთვის შეიმუშავა #think10 ინსტრუმენტი, რომელიც ქალ პოლიტიკოსთა პირადი უსაფრთხოების გაუმჯობესებას შეეხება. ინსტრუმენტში შესულია კონფიდენციალური თვითშეფასების კითხვარი, რომელიც ხელმისაწვდომია ინტერნეტში, ასევე, მობილური აპლიკაციისა და ბეჭდური სახით, ხუთ ენაზე: ინგლისურ, ფრანგულ, ესპანურ, უკრაინულსა და არაბულზე. კითხვებზე ქალთა მიერ გაცემული პასუხები შემდეგ NDI-ის ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის რისკის ინდექსში კონკრეტული ქვეყნის ქულასთან არის შეჯერებული და, შეფასების საფუძველზე, შემუშავდება ინდივიდუალური უსაფრთხოების გეგმა რისკის დონეების (დაბალი, ზომიერი ან მაღალი) მიხედვით.

მაგალითად, აშშ-ში მცხოვრებ ქალს, რომელიც ძალადობის ზომიერი რისკის ქვეშ იმყოფება, ინსტრუმენტი უსაფრთხოების შემდეგ ზომებს სთავაზობს: ერთი ან ორი სანდო საკონტაქტო პირის იდენტიფიცირება და მათი საკონტაქტო დეტალების დამახსოვრება ან საიმედოდ შენახვა; ერთი ან ორი უსაფრთხო ადგილის განსაზღვრა, სადაც საგანგებო სიტუაციაში გაქცევა იქნება შესაძლებელი, მათ შორის, იმის წინასწარ დადგენა, როგორ შეიძლება ამ ადგილებში უსაფრთხოდ მისვლა; პერსონალური ინფორმაციის შენახვა და სახლის მისამართისა და პირადი სატელეფონო ნომრების არ მითითება; მნიშვნელოვანი დოკუმენტების უსაფრთხო ადგილზე შენახვა; პოლიტიკური აქტივობების გამართვისას გარემოსთვის ყურადღების მიქცევა, მარტივი გასასვლელების დამახსოვრება და სახლების, სამუშაო ადგილებისა და პოლიტიკური ლოკაციების უსაფრთხოების შემოწმება.

აღნიშნული ინსტრუმენტი ქალებს ასევე ურჩევს, სანდო კოლეგასთან ერთად იმოგზაურონ, უსაფრთხო სატრანსპორტო მარშრუტები გამოიყენონ და სამგზავრო გეგმები სანდო საკონტაქტო პირებს გაუზიარონ; ციფრული კვალი მართონ ისეთი ზომებით, როგორიცაა პაროლების გამოყენება, ანტივირუსული პროგრამების დაინსტალირება, სამუშაო და პერსონალური ელ.ფოსტის ანგარიშების ცალ-ცალკე შექმნა, მტრული კომუნიკაციების დამადასტურებელი სქრინშოთების შენახვა და ონლაინ შევიწროებისა და ძალადობის შესახებ შესაბამისი ორგანოების ინფორმირება; ასევე, მოინიშნონ მხარდაჭერის ადგილობრივი სერვისები (მაგ., თავშესაფრები, კლინიკები ან გავლენიანი ლიდერები); მოახდინონ ძალადობრივი ინციდენტების დოკუმენტირება (მაგ., ხმოვანი შეტყობინებების შენახვა, ინციდენტების ჟურნალის წარმოება და ფიზიკური დაზიანებების ფოტოგრაფირება). ინსტრუმენტი ასევე ურჩევს ქალებს, გაუზიარონ უსაფრთხოების გეგმა სანდო კოლეგას და უზრუნველყონ, რომ მათი ოჯახის წევრებმა ან მეგობრებმა შემთხვევით არ გაამჟღავნონ იგი, ასევე, რამდენიმე თვეში ერთხელ გეგმას გადახედონ და საჭიროებისამებრ განაახლონ.

## უსაფრთხოების ზომები შეხვედრებსა და ღონისძიებებზე

### ფიზიკურ სივრცეში

**არასდროს მარტო არ დაესწროთ საჯარო შეხვედრებს.** ღია შეხვედრების ან პოლიტიკური შეკრებების დროს, დარწმუნდით, რომ კარგად იცნობთ გარემოს, მათ შორის, **იცით საევაკუაციო გასასვლელები.**

თუ შესაძლებელია, თქვენ მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე ან თავყრილობაზე დასასწრებად მოითხოვეთ წინასწრი **რეგისტრაცია.** თუ ეჭვობთ, რომ მოძალადეები დაესწრებიან, ვერიფიკაციისთვის შეამოწმეთ მათი სოციალური მედიის ანგარიშები და ჩეთები. შეხვედრისთვის მოემზადეთ შესაბამისად, მაგალითად, შეინახეთ **უსაფრთხოების სამსახურების ან ოფიციალური სამართალდამცავი ორგანოების ნომრები** თქვენს მობილურ ტელეფონში და **დაუკავშირდით სამართალდამცავებს,** თუ თქვენს უსაფრთხოებას რაიმე დაემუქრა, ან დაუკავშირდით მოკავშირეებს, პარტიის წევრებს, მეგობრებს ან გუნდის წევრებს/თანამშრომლებს, რათა მზად იყოთ, მოძალადეების გამოჩენის შემთხვევაში.

თუ იმ ადგილს, სადაც ღონისძიება ტარდება, ან ორგანიზატორს თავისი **დაცვა** ჰყავს, დარწმუნდით, რომ ინფორმირებული იყვნენ ამ სიტუაციისა და პოტენციური საფრთხეების შესახებ და ჰქონდეთ მოძალადეთა აღწერილობა ან ფოტო.

გახსოვდეთ, რომ ზოგიერთმა პოლიტიკურმა ოპონენტმა ან ადევნებაში შემჩნეულმა პირმა, შესაძლოა, თქვენი ღონისძიების 'ჰეითსტრიმინგი' სცადოს.[31] ამიტომ მზად იყავით ამის აღსაკვეთად, რადგან ამან შეიძლება საფრთხე შექმნას თქვენთვის და სხვა მონაწილეებისთვის.

### ინტერნეტ სივრცეში

ნებისმიერ ონლაინ პლატფორმაზე შეხვედრის ორგანიზებისას გამოყავით (ან სთხოვეთ ორგანიზატორს, რომ გამოყოს) მოდერატორი, რომელსაც ეცოდინება, როგორ:

- **გააშეშოს** ნებისმიერი მონაწილის გამოსვლა, კამერა, მიკროფონი, თუ უეცრად, მაგალითად, სექსისტური, რასისტული, ძალადობრივი და ა.შ. შინაარსის გაზიარება ან სტრიმინგი დაიწყო;

- **გააძევოს** მონაწილე ონლაინ შეხვედრიდან ისე, რომ ავტომატურად უკან შემოსვლა არ იყოს შესაძლებელი;

31 ჰეითსტრიმინგი ნიშნავს სოციალური მედიის ანგარიშების მეშვეობით, ცოცხალ რეჟიმში ჩანაწერის გაკეთებას და/ან გადაცემას, რასაც ბოროტი განზრახვა აქვს და გამიზნულია ამ ჩანაწერის შინაარსისადმი წინასწარ მტრულად განწყობილი აუდიტორიისთვის. ეს სტრატეგია, განსაკუთრებით, ქალი და უმცირესობების წარმომადგენელი პოლიტიკოსების წინააღმდეგ გამოიყენება, როგორც მათ დასაშინებლად, ისე მასობრივი ონლაინ შეტევების/შევიწროების ორგანიზებისთვის.

- **აკონტროლოს ჩეთი** და, საჭიროების შემთხვევაში, წაშალოს კომენტარები.

## რეაგირება: როგორ უნდა მოვიქცეთ ინციდენტების დროს?

პოლიტიკოსები სხვადასხვა ტიპის სახიფათო ან ძალადობრივი თავდასხმების წინაშე შეიძლება აღმოჩნდნენ. ძალადობა შეიძლება გამოვლინდეს სექსუალური შევიწროების ან ძალადობრივი აქტის სახით, ასევე, მას შეიძლება ჰქონდეს ორგანიზებული ჯგუფური ონლაინ თავდასხმის ფორმა. თითოეული სიტუაცია განსხვავებულ რეაგირებას მოითხოვს, რაც კონკრეტული რეაგირების მეთოდის შერჩევისას უნდა გვახსოვდეს.

### პრიორიტეტად დასახეთ ფიზიკური უსაფრთხოება

ეს ყველაზე მნიშვნელოვანი რამაა, რაც, პირველ რიგში, უნდა გავითვალისწინოთ. თუ **უსაფრთხოდ წასვლა** შეგიძლიათ, დაუყოვნებლივ დატოვეთ საჯარო ან სხვა საფრთხისშემცველი ადგილი. თუ უსაფრთხოდ წასვლა შეუძლებელია, შეეცადეთ, უსაფრთხო ადგილას დაიმალოთ და ტელეფონს ხმა და ვიბრაცია გამოურთოთ.

**დაუკავშირდით უსაფრთხოების სამსახურებს.** ეუთოს წევრი სახელმწიფოების უმრავლესობაში ეს სამართალდამცავი ორგანოებია. თუ ხართ პარლამენტარი, შესაძლოა პარლამენტის უსაფრთხოების სამსახურებთან გქონდეთ წვდომა.

### ითხოვეთ მხარდაჭერა

**ითხოვეთ** თქვენი გუნდის, პარტიის, ახლობლების, ამ თემებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების, კოლეგებისა და უსაფრთხოების სხვადასხვა სამსახურებისა და სამართალდამცავი ორგანოების **დახმარება და მხარდაჭერა.**

### გამოიძიეთ

თუ ფიზიკური ან  რაიმე სხვა სახის ზიანის უშუალო რისკის ქვეშ არ ხართ, სასურველია **მოძალადის შესახებ გამოძიება ჩაატაროთ ან სხვას სთხოვოთ ამგვარი გამოძიების ჩატარება.** იმის მიუხედავად, ინტერნეტ სივრცეში ხდება თავდასხმა თუ მის გარეთ, თუ მოძალადის სახელი იცით ან მისი ფოტო გაქვთ, გუგლში ძიება, შესაძლოა, სასარგებლო იყოს. გარდა ამისა, ანონიმურ პროფილზე გამოქვეყნებული სურათების შესწავლა, შესაძლოა, დაგეხმაროთ იმის გაგებაში, თუ რასთან გაქვთ საქმე.

Tactical Tech-ს აქვს სხვადასხვა რჩევები იმის შესახებ, თუ როგორ ჩავატაროთ გამოძიება:

სურათები: https://datadetoxkit.org/en/misinformation/reversesearch/

ბოტია თუ არა: https://datadetoxkit.org/en/misinformation/botornot/

ფოტოებთან დაკავშირებით დამატებითი დახმარებისთვის იხილეთ:

https://tineye.com

თუ ისეთი სახის ძალადობას აქვს ადგილი, რომელიც აშკარად არღვევს თქვენი ქვეყნის მოქმედ კანონმდებლობას, გამოძიების ჩატარება სამართალდამცავებს ან ხელისუფლების ორგანოებს უნდა მიანდოთ.

## ინფორმაციის შეტყობინება და დაბლოკვა

თუ უშუალო ფიზიკური რისკის ქვეშ არ იმყოფებით, მნიშვნელოვანია, რომ **ინციდენტის შესახებ ინფორმაცია** რაც შეიძლება სწრაფად შეატყობინოთ სამართალდამცავ ორგანოებს, თქვენს პარტიას, საპარლამენტო/ადგილობრივ სახელისუფლებო ორგანოს ან იმ სოციალური მედიის პლატფორმას, სადაც ეს ინციდენტი მოხდა ან ხდება.

**იმ ანგარიშების დაბლოკვა,** რომლებიც თქვენ გაწუხებენ ან გაწუხებდნენ, ასევე მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ უფრო უსაფრთხოდ იგრძნოთ თავი.

## ყველა სამხილის შეგროვება

თუ ეს გაზრდილი საფრთხის წინაშე არ გაყენებთ, ყოველთვის **მოახდინეთ ინციდენტის მტკიცებულებების/სამხილების დოკუმენტირება,** მაშინაც კი, როდესაც ბოლომდე არ ხართ დარწმუნებული თუ რა მოხდა. ეს იქნება მნიშვნელოვანი ინფორმაცია ნებისმიერი გამოძიების ან სასამართლოს დროს. ძალადობის დოკუმენტირება და აღრიცხვა, შესაძლოა, დაგეხმაროთ იმის გაგებაში, მოსალოდნელია თუ არა სიტუაციის კიდევ უფრო მეტად ესკალაცია.

დოკუმენტირება შეიძლება გულისხმობდეს ფოტოების, ვიდეოების ან სქრინშოთების გადაღებას, ფიზიკური თუ ციფრული მასალის შენახვას, საპოლიციო და სამედიცინო ჩანაწერების შენახვას, დღიურის წარმოებას და სხვ.

### სოციალური მედიის ყველა პლატფორმასა და აპლიკაციაში გააძლიერეთ დაცვისა და უსაფრთხოების პარამეტრები

თუ ინტერნეტ სივრცეში თქვენზე ჯგუფური თავდასხმა მიმდინარეობს, შეგიძლიათ, მაგალითად, **დროებით გააუქმოთ თქვენს პოსტებზე კომენტირების ან თქვენი მონიშვნის შესაძლებობა**, ასევე, შეგიძლიათ თქვენი პოსტების პირდაპირ გაზიარების ფუნქციის გაუქმებაც. თუმცა გახსოვდეთ, რომ თქვენი მასალების გაზიარება სქრინშოთების მეშვეობითაც შეიძლება, ასე რომ, თქვენი პოსტი, შესაძლოა, მაინც გავრცელდეს. მაგალითად, ინსტაგრამზე არსებობს ფუნქცია „საზღვრები" (limits), რომლის მიზანია ჯგუფური თავდასხმის ქვეშ მყოფი ადამიანების სწრაფი დახმარება. ერთი დაწკაპუნებით ეს ფუნქცია აქტიურდება და თქვენი პროფილი მაშინვე უფრო უსაფრთხო და პრივატული ხდება. ზოგიერთ აპლიკაციაში **მთელი პროფილის დროებით პრივატულად ქცევა არის შესაძლებელი.**

### კონტენტის წაშლა

თუ თქვენი ნებართვის გარეშე, **ინტიმური ხასიათის სურათების გაზიარება ხდება** ან ვინმე ამ სურათების გაზიარებით გემუქრებათ, საპასუხო ზომების შესახებ რამდენიმე არაკომერციული ორგანიზაციის რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება შეიძლება.

- *კიბერ სამოქალაქო უფლებების ინიციატივამ (The Cyber Civil Rights Initiative)*[32] ყველაზე პოპულარული საიტებიდან შეაგროვა ინფორმაცია, თუ როგორ შეიძლება უნებართვოდ გაზიარებული ინტიმური ხასიათის სურათების წაშლა. ქვემოთ მოცემულ ბმულზე იხილეთ დეტალური ინსტრუქცია ინტიმური ხასიათის სურათების დოკუმენტირების, დარეპორტებისა და წაშლის შესახებ: https://cybercivilrights.org/online-removal/
- *უნებართვო ინტიმური ხასიათის სურათებით შანტაჟის აღკვეთა* (Stop NCII)[33] უფასო ინსტრუმენტია, რომლის მიზანია უნებართვო ინტიმური ხასიათის სურათებით (NCII) შანტაჟის მსხვერპლთა დახმარება. ამჟამად იგი ფეისბუქთან და ინსტაგრამთან თანამშრომლობს, რათა აღმოაჩინოს და წაშალოს ამგვარი სურათები: https://stopncii.org/

32 აშშ-ში მოქმედი არაკომერციული ორგანიზაციები მსხვერპლებს მომსახურებას უწევენ მთელი მსოფლიოს მასშტაბით და ტექნოლოგიური, სოციალური და იურიდიული ინოვაციების ადვოკატირებას ეწევიან ონლაინ შევიწროების პრევენციისა და აღკვეთისთვის. იხილეთ <https://cybercivilrights.org/ >.

33 Stop NCII-ის ოპერირებას ახდენს Revenge Porn Helpline, რომელიც საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაცია SWGfL-ის ნაწილია. ამ ორგანიზაციას მიაჩნია, რომ ტექნოლოგიებისგან სარგებელი ყველამ ზიანის გარეშე უნდა მიიღოს. იხილეთ: <https://stopncii.org/>.

- დოქსინგის ან სხვა დარღვევის შემთხვევაში, შეგიძლიათ, ასევე, პირდაპირ დაუკავშირდეთ ვებგვერდის მენეჯერს (ტერმინთა ლექსიკონის სანახავად იხილეთ დანართი 1). იხილეთ გუგლის ინსტრუქცია ვებმასტერთან დაკავშირებით: https://support.google.com/websearch/answer/9109

ასევე, სასურველია **თქვენ მიერ მანამდე დადებული ისეთი პოსტების ან სხვა კონტენტის** წაშლა, რომელიც ზედმეტ ინფორმაციას შეიცავს თქვენი ადგილმდებარეობის, ოჯახის ან სხვა საკითხების შესახებ. თუმცა, გახსოვდეთ, რომ წაშლის შემთხვევაშიც, ინფორმაცია შეიძლება მაინც გავრცელდეს სქრინშოთების ან სხვა ფორმატების მეშვეობით.

## კონტრკამპანია

თუ გაშავების კამპანიის, დიფფეიკის ან რაიმე სხვა სახის დეზინფორმაციის სამიზნე ხართ, უპასუხეთ **სწრაფად, ზუსტი ინფორმაციის გავრცელებით** და ამ ინფორმაციის გავრცელება სთხოვეთ ასევე თქვენს პარტიას, თემს, მეგობრებსა და გამომწერებს (ტერმინთა ლექსიკონის სანახავად იხილეთ დანართი 1).

**პოლიტიკოსებს შორის სოლიდარობა და პარტიებს შორის თანამშრომლობა** ასევე სასარგებლო შეიძლება აღმოჩნდეს, განსაკუთრებით მაშინ, როცა მოძალადეებიც პოლიტიკოსები არიან. პარტიების საერთო პოზიცია ძლიერი სიგნალია, რომ ამგვარი ქცევა მიუღებელია და შედეგად, შესაძლოა, მოძალადის პოლიტიკური პასუხისმგებლობაც გამოიწვიოს, თუ, მაგალითად, პოლიტიკაში ჩართულ ქალს ან კოლეგა პოლიტიკოს ქალს თავს დაესხმება.

ქალ პოლიტიკოსებს შეუძლიათ, **მედიასაც** მიმართონ დახმარებისთვის. მნიშვნელოვანია, როგორ შუქდება ქალი პოლიტიკოსების მიმართ ძალადობის შემთხვევები. მაგალითად, გაშუქებისას გენდერულად ინკლუზიური ენის გამოყენებას ამ თემის გარშემო საზოგადოებრივი აღქმის ჩამოყალიბებაზე შეუძლია ზეგავლენის მოხდენა. **ქალთა მოძრაობები და არასამთავრობო ორგანიზაციები** ასევე ძლიერი მოკავშირეები არიან პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის – როგორც ზოგადი პრობლემის, ისე ინდივიდუალური შემთხვევების – წინააღმდეგ ბრძოლაში.

თავდასხმების დროს ქალ პოლიტიკოსებს უკუქმედება და ხმის ამაღლება შეუძლიათ. ძალადობრივი ქცევის დაგმობით ქალი პოლიტიკოსები ხელს უწყობენ სექსიზმისა და პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას. თუმცა, ხმის ამაღლება და ძალადობაზე რეაგირება მხოლოდ მაშინ უნდა ხდებოდეს, როცა მათ ჯანმრთელობას და სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

# შევიწროების პირობებში პოლიტიკაში ქალთა (გა)დარჩენა და წარმატება:

## ფინეთის პარლამენტის წევრის, ევა ბიოდეს რჩევები

ევა ბიოდეს პოლიტიკური და საჯარო საქმიანობის 30 წელზე მეტი ხნის გამოცდილება აქვს, მათ შორის, იგი ეუთოს სპეციალური წარმომადგენელი იყო ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) ბრძოლის საკითხებში.

### რა სახის შევიწროება განგიცდიათ?

წლების მანძილზე ბევრი სხვადასხვა სახის შევიწროების მსხვერპლი ვყოფილვარ, ეს იყო: სექსუალური ხასიათის მუქარა, პიროვნებისა და გარეგნობის შესახებ ზიზღნარევი კომენტარები, სიტყვიერი შეურაცხყოფა და სხვ. ახლა ყველაზე მეტად მაწუხებს ერთი ძველი შემთხვევა, რომელიც კვლავ ამოტივტივდა. 2007 წელს მამაკაცმა პოლიტიკოსმა დაწერა ბლოგი, რომელშიც აკეთებდა მინიშნებას, რომ მე გაუპატიურებას ვიმსახურებდი. შემდეგ ბლოგის ეს ნაწილი წაშალა. მაშინ შოკირებული ვიყავი, თუმცა დროთა განმავლობაში, და საჯარო დისკურსის გამკაცრების კვალდაკვალ, ნაკლებად მგრძნობიარე გავხდი. მაგრამ ახლა, როცა ის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარეა და ყოველდღე მიწევს მასთან მუშაობა, საფრთხის შეგრძნება დამიბრუნდა. ეს არის ადამიანი, რომელმაც ჩემი გაუპატიურება ინატრა, რაც ამძიმებს მუშაობის პროცესს.

ეს შემთხვევა ასევე კარგი მაგალითია, როგორი შეიძლება იყოს სახიფათო, სექსისტური სიძულვილის ენა, რომელიც იურიდიულად შეიძლება ამტკიცო, რომ უწყინარია და ვერც სოციალური მედიის პლატფორმებზე არსებულ აკრძალვებში მოაქციო, მაგრამ ნებისმიერი ადამიანისთვის, ვინც ამას კითხულობს, გასაგებია, რა იგულისხმება. შესაძლოა, ნაგულისხმევს იგივე იურიდიული ძალა არა აქვს, როგორც პირდაპირ ნათქვამს, მაგრამ გავლენა იგივეა, ადამიანზეც და საზოგადოებაზეც.

ამგვარ ნაგულისხმევ მუქარებსა ან შევიწროებაზე დღევანდელი სისტემა სუსტად რეაგირებს და ეს დამთრგუნველი რამაა.

### რა გეხმარებათ ინციდენტებთან გამკლავებაში?

ახალი ამბების გვერდებზე კომენტარებს არ ვკითხულობ. ზოგადად, ვცდილობ რომ სოციალურ მედიაში არსებული საშინელი დიალოგებისა და კომენტარების იგნორირება მოვახდინო. არ ვფიქრობ, რომ ეს ლაჩრობა ან

თავის არიდებაა, მე ამას უფრო საკუთარი ენერგიისა და ძალის ეკონომიად და ამ ენერგიის სტრატეგიულ გამოყენებად აღვიქვამ. ჩემი აზრით, იმ ადამიანის პროვოკაციაზე არ აყოლა, რომელიც შენს პროვოცირებას ცდილობს, უკვე შეიძლება ჩაითვალოს გამარჯვებად. არ ვბლოკავ ადამიანებს სოციალურ მედიაში, მხოლოდ – ფეისბუქზე, რადგან მინდა რომ სოციალური მედიის ერთი სივრცე ჩემთვის დავიტოვო. შევიწროების შემთხვევები, ხანდახან, კიდევ უფრო მიმძაფრებს სურვილს, რომ ჩემთვის მნიშვნელოვან საკითხებზე უკან არ დავიხიო.

დიდ ყურადღებას ვუთმობ ჩემი „ჭრილობების" მკურნალობას. ვესაუბრები კოლეგებს, რა განვიცადე და რა ზეგავლენა იქონია ამან ჩემზე. ასევე, ვცდილობ, ეს ცალკეული შემთხვევები პოლიტიკური დღის წესრიგად ვაქციო. როცა შევიწროების წინააღმდეგ მოქმედებას კონკრეტული პოლიტიკური მოძრაობის მიზანმიმართულ და სისტემატურ ნაწილად ვაცხადებ, რათა მან მოიცვას მედია სივრცე და საჯარო დისკუსიები და, ამავე დროს, ფემინისტი ქალების ხმას ვაძლიებ და ადამიანის უფლებათა დამცველების დღის წესრიგის ხარვეზებზე მივუთითებ, ამით ვცდილობ, ვაჩვენო, რომ შევიწროება არც ისე პერსონალური პრობლემაა, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს.

ჩემი ასისტენტი ფასდაუდებელ დახმარებას მიწევს ჩემი არხების მართვის კუთხით. შესაბამისად, ყველაფერს ვერც ვხედავ. ეს მეხმარება, მაგრამ, ხანდახან, უსაფრთხოების ყალბ განცდასაც მიქმნის, ჩნდება მცდარი წარმოდგენა, რომ  სიძულვილით გამსჭვალულ წერილებს მე არ მიგზავნიან.

ახლა ფინეთის პარლამენტის გენდერული თანასწორობის ქსელი ოფიციალური ორგანოს შექმნას გეგმავს, რომელიც შევიწროებისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ იბრძოლებს. ეს ძალიან კარგი რესურსი იქნება.

ასევე, უნდა ვიზრუნოთ, რომ შევიწროების შესახებ ანონიმური შეტყობინებების მექანიზმი არსებობდეს, ისეთი პროცედურები, რომელთა მეშვეობითაც შევიწროების კულტურის წინააღმდეგ ბრძოლა შესაძლებელი იქნება ისე, რომ მსხვერპლს საჯაროდ საუბარი არ უწევდეს.

ზოგადად, იოლად ვივიწყებ წარსულს, მაგრამ, მაგალითად, საგარეო საქმეთა კომიტეტის შემთხვევაში, სხვების რეაქციები უფრო მაწუხებს – ის, რომ ვერ ხედავენ პრობლემის სიმწვავეს. ეს არ მეხება მხოლოდ მე, ეს

ამ პოლიტიკოსის ქცევის მოდუსია. რიტორიკა, რასაც ის იყენებს, სახიფათო და საზიანოა.

### რა დაგეხმარათ ასეთი ხანგრძლივი პოლიტიკური კარიერის შექმაში?

კოლეგების და თანამოაზრეების მხარდაჭერა ძალიან მეხმარება. მნიშვნელოვანია ისეთი ადამიანების წრეში ტრიალი, რომლებიც თქვენს ფასეულობებსა და პრიორიტეტებს იზიარებენ. სიძნელეების გადალახვაში შეიძლება დაგეხმაროთ იმის რწმენა, რომ თქვენ, სწორედ თქვენ, უმიზეზოდ არ აურჩევიხართ ხალხს თავის წარმომადგენლად.

ვთვლი, ასევე, რომ ჩემი საქმეა, დავეხმარო ახალგაზრდა ქალებს, ისე, როგორც მე დამეხმარნენ თავის დროზე. ასე ვთქვათ, მომავალ თაობას ვუხდი ვალს.

გარდა ამისა, ვცდილობ, საკუთარ თავს შევახსენო, როგორ შეიცვალა ბევრი რამ და რომ ეს ცვლილება ჩემი პოლიტიკური კარიერის მანძილზეც თვალსაჩინოა. ასე რომ, ცვლილებას ვერ შევაჩერებთ. ფინეთის პარლამენტის ისტორიაში ქალი პოლიტიკოსები იყვნენ სოციალური ცვლილებების ყველაზე ძლიერი მამოძრავებელი. კარგად მეხერხება მოკავშირეების პოვნა, მათ შორის, სხვა პოლიტიკურ პარტიებშიც.

ახლა ჩემი ასაკი და გამოცდილება მიადვილებს იმის გაგებას, რომ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხები ნამდვილად მნიშვნელოვანია. ამდენად, მნიშვნელობა არა აქვს, შევიწროების რამდენ მცდელობას ექნება ადგილი ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხების დაყენებისას, ჩემი პოზიცია ურყევია.

## ინციდენტის შემდეგ

- **იფიქრეთ და გააანალიზეთ თქვენი გრძნობები**

  როგორც ინტერნეტ სივრცეში, ისე მის გარეთ განცდილი ძალადობა მტკივნეულია და ამან გარიყულად შეიძლება გაგრძნობინოთ თავი. დაუთმეთ დრო იმის გაანალიზებას, თუ რას გრძნობთ.

- **მოუსმინეთ საკუთარ სხეულს**

  განცდილი ძალადობის სახეობის მიუხედავად, თქვენი სხეული მოახდენს რეაგირებას და გიკარნახებთ, რაც გჭირდებათ. გჭირდებათ მეტი ძილი? გჭირდებათ, რომ ვინმე ჩაგეხუტოთ? იქნებ ბუნებაში გასეირნება გჭირდებათ?

- **გაუზიარეთ გამოცდილება ახლობლებს და/ან პოლიტიკაში ჩართულ ქალებს**

  არ დამალოთ, რაც განიცადეთ. გამოცდილების იმ ადამიანებისთვის გაზიარება, რომლებსაც ენდობით, რომლებსაც თქვენი ესმით და, შესაძლოა, მსგავსი გამოცდილებაც ჰქონიათ, ძალიან დაგეხმარებათ, უკეთ იგრძნოთ თავი. როგორც ძალადობის ნებისმიერი სხვა ფორმის შემთხვევაში, განცდილის გაზიარება და ახლობლების მხარდაჭერა ტრავმასთან გამკლავებაში გვეხმარება და ვალიდაციას გვაძლევს, რაც განსაკუთრებით საჭიროა ძალადობის გარკვეული ფორმების შემთხვევაში, როცა თავად მსხვერპლიც კი აკნინებს მას. იმის გააზრება, რომ რაც თქვენ მიმართ ჩაიდინეს, თქვენი ბრალი კი არ არის, არამედ ქალთა წინააღმდეგ მომართული სისტემის სიმპტომია, შესაძლოა, სასარგებლო იყოს ზოგიერთი ქალი პოლიტიკოსისთვის. იყავით გულახდილი თქვენი გამოცდილების შესახებ და გაუზიარეთ ის სანდო ადამიანს: სირცხვილით არ უნდა იცხოვროთ, სამარცხვინო არიან მოძალადეები და ის სისტემა, რომელიც მათ პასუხს არ აგებინებს. გახსოვდეთ, რომ, შესაძლოა, ონლაინ ძალადობა ან შევიწროება 'რეალური ცხოვრებისგან' განყენებული ჩანდეს, მას ისეთივე უარყოფითი ზეგავლენა აქვს ჯანმრთელობაზე, როგორც ფიზიკურ სივრცეში მომხდარ ძალადობას. გამოჯანმრთელება მნიშვნელოვანია.

- **გაატარეთ დრო მეგობრებთან და საყვარელ ადამიანებთან**

  შეგრძნება, რომ მარტო არა ხართ და იმ ადამიანებთან დროის გატარება, რომლებსაც უყვარხართ და თავს უსაფრთხოდ გაგრძნობინებენ, ხელს შეუწყობს, ზოგადად, დაცულობის  შეგრძნების აღდგენას. მუდმივად პოლიტიკისა და საზოგადოების კონტროლქვეშ ყოფნამ, შესაძლოა, დაგაკარგინოთ პერსპექტივის განცდა. მუდმივმა შევიწროებამ და თავდასხმებმა შეიძლება სასოწარკვეთილების შეგრძნება გააღვივოს. აუცილებელია, რომ პოლიტიკის მიღმაც გქონდეთ მხარდაჭერის სისტემა, რომ არ აჰყვეთ ემოციებს. უნდა ითხოვოთ მხარდაჭერა, რომ მიიღოთ; უნდა შექმნათ მხარდაჭერის შესაძლებლობა. თავიდანვე ასე მოიქეცით.  შემოიკრიბეთ გარშემო ის ადამიანები, მეგობრები, პარტნიორები თუ ოჯახის წევრები, რომლებიც ემპათიას გახსენებენ და უკეთესი მომავლის მიზეზსა და იმედს გაძლევენ.

- **მიმართეთ ჯანდაცვის სპეციალისტს**

  თუ ინციდენტის შედეგად (გახანგრძლივებულ) ემოციურ ან ფიზიკურ ზიანს განიცდით, ყოველთვის მნიშვნელოვანია, რომ მიმართოთ ექიმს ან კვალიფიციურ ფსიქოთერაპევტს/ფსიქოლოგს.

- **არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერის სერვისები**

  პოლიტიკაში ჩართულმა ბევრმა ქალმა დახმარება მიიღო ასევე, მაგალითად, არაპარტიული დახმარების ჯგუფებში, რომლებსაც ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები უჭერენ მხარს.

- **თუ შესაძლებელია, დაისვენეთ**

  თუ შესაძლებელია, ეცადეთ, დაისვენოთ და პოლიტიკის გარდა სხვა საკითხებზეც მოახერხოთ ფოკუსირება. ენერგიის აღდგენა მნიშვნელოვანია. უზრუნველყავით საკმარისი დასვენება და ძილი, თუნდაც ამისთვის კალენდარში სპეციალური დროის გამონახვა იყოს საჭირო. მცირე დასვენებებიც სასარგებლო შეიძლება იყოს (მაგალითად, სოციალური მედიის რამდენიმე დღით გათიშვა ან რაიმე ღონისძიების გამოტოვება).

- **შეამოწმეთ უსაფრთხოების პარამეტრები**

  ინციდენტის შემდეგ, მნიშვნელოვანია, შეამოწმოთ უსაფრთხოების ყველა პარამეტრი და დარწმუნდეთ, რომ სიტუაციის შესაბამისია. გარდა ამისა, დარწმუნდით, რომ ყველა აპლიკაცია და პროგრამა განახლებული გაქვთ. თუ სოციალური მედიის გამოყენება თქვენთვის ზედმეტად დამღლელია, მასზე თვალის დევნება სხვას მიანდეთ.

- **აცნობეთ მეგობრებს, ოჯახის წევრებსა და თანამშრომლებს მხარდაჭერის სხვადასხვა შესაძლებლობების შესახებ**

  რთული გადასატანია, როცა ვინმე ახლობელი ადამიანის მიმართ ფიზიკურ ან ონლაინ სივრცეში განხორციელებული ძალადობის შესახებ შეიტყობს ან მისი შემსწრე გახდება. ასეთ დროს, მნიშვნელოვანია, მათ მიაწოდოთ ინფორმაცია მხარდაჭერის სერვისებისა და თვითდახმარების შესახებ. ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია ძალადობის მსხვერპლთა ახლობელ ადამიანებსაც უწევს დახმარებას და შესაბამის ონლაინ მასალებს აწვდის. თუ გყავთ თანამშრომლები, მათაც გაუზიარეთ ინფორმაცია მხარდაჭერის ყველა ხელმისაწვდომი სერვისის შესახებ.

იხილეთ, მაგალითად, RAINN-ს ინსტრუქცია,[34] რომელიც კონკრეტულად სექსუალურ ძალადობას ეხება, თუმცა ძალადობის სხვა ფორმების შემთხვევაშიც შეიძლება მისი გამოყენება: https://www.rainn.org/articles/self-care-friends-and-family

34 RAINN (გაუპატიურების, ძალადობისა და ინცესტის ნაციონალური ქსელი) ამერიკაში მოქმედი ორგანიზაციაა.

- **დაფიქრდით საკუთარ თავზე და საკუთარ პოლიტიკურ მიზნებზე**

  ვესტმინსტერის დემოკრატიის ფონდის 2021 წლის ანგარიშის მიხედვით, ქალი პოლიტიკოსები ლიდერობის მოტივაციას და პოტენციალს რამდენიმე სხვადასხვა წყაროდან იღებენ. ერთ-ერთია საკუთარ თავსა და საკუთარ პოლიტიკურ მიზნებზე დაფიქრება.[35] იპოვეთ საშუალება, გაიაზროთ, რა მიზნები გამოძრავებთ პოლიტიკაში და არ დაკარგოთ მასთან კავშირი. ასევე, გახსოვდეთ, რომ პოლიტიკაში შესვლა არ ნიშნავს, რომ ცხოვრების ბოლომდე პოლიტიკოსად უნდა დარჩეთ. ზოგ პოლიტიკოსს, განსაკუთრებით მათ, ვინც მუდმივად იდენტობის ერთდროულად რამდენიმე ნიშნით ძალადობის ობიექტი ხდება, შვებას ანიჭებს, რომ, სურვილის შემთხვევაში, პოლიტიკიდან წასვლა შეუძლია. რა გზაც არ უნდა აირჩიოთ, ჯანმრთელობა ყოველთვის თქვენი მთავარი პრიორიტეტი უნდა იყოს.

- **თუ შეგიძლიათ, აიმაღლეთ ხმა და გაუზიარეთ სხვებს გამოცდილება**

  ტრადიციული და სოციალური მედია ძლიერი ინსტრუმენტი შეიძლება იყოს მუქარისა და შევიწროების ფაქტების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად. ამ ფენომენის გარშემო არსებული სტიგმის დანგრევა მნიშვნელოვანია. არ უნდა ატაროთ სირცხვილის გრძნობა. ყოველთვის დარწმუნდით, რომ საჯაროდ გამოსვლით ან მუქარის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებით თქვენს ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას არ აგდებთ საფრთხეში. ასევე გახსოვდეთ და მზად იყავით, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, თქვენი საჯარო საუბარი შეიძლება თქვენ წინააღმდეგ სასამართლო დავის დაწყების მიზეზი გახდეს, მაგალითად, ცილისწამების ბრალდებით.

- **ეძიეთ სამართალი**

  ეს ფრაზა შეიძლება სხვადასხვა რამეს გულისხმობდეს, კონტექსტის, ძალადობის ფორმის და მოძალადის ტიპის გათვალისწინებით. სამართლის პოვნა განსაკუთრებით რთული შეიძლება იყოს, თუ მოძალადე თქვენივე პარტიის წევრია. თუმცა სამართლის ძიება მაინც მნიშვნელოვანია არა მხოლოდ თქვენთვის და თქვენი მორალური/ფიზიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის, არამედ მსგავსი ინციდენტებისგან მომავალში სხვა ადამიანების დასაცავად. სამართლის ძიება შეიძლება გულისხმობდეს მოძალადის დასჯას და მიღებული ზიანის ანაზღაურებას, სამართალი შეიძლება ვეძიოთ სასამართლოში, პარლამენტში ან სხვა ოფიციალურ უწყებებში, ასევე, საკუთარ პარტიაში.

35 რებეკა გორდონი და სხვები, "ქალთა პოლიტიკური კარიერა: საიდან მოდიან ლიდერები?" ვესტმინსტერის დემოკრატიის ფონდი (WFD) და FCDO, მარტი, 2021, <https://www.wfd.org/what-we-do/resources/womens-political-careers-where-do-leaders-come>.

მზად იყავით, რომ სამართლის ძიების პროცესში ან უბრალოდ თქვენი გამოცდილების შესახებ საუბრისას, სავარაუდოდ, წინააღმდეგობას წააწყდებით, მათ შორის, საკუთარი პარტიის შიგნითაც და ისეთი ადამიანებისგანაც, ვისგანაც ამას არ ელოდებით.

"ონლაინ შევიწროებამ შეიძლება ისეთი შეგრძნება გაგიჩინოთ, თითქოს თქვენი ცხოვრება კონტროლს აღარ ექვემდებარება. თუმცა, მაინც შეგიძლიათ ერთი რამის კონტროლი: როგორ ექცევით საკუთარ თავს. არსებობს თვითზრუნვის სხვადასხვა გზა, რომლებიც დაგეხმარებათ ონლაინ ძალადობით მიყენებული ტკივილის განელებაში და ნათელი გონებით ანალიზისა და დაფიქრების შესაძლებლობის მოგცემთ".[36]

## პოლიტიკაში ქალთა (გა)დარჩენა და წარმატება მოძალადის სამართლებრივი დევნისა და დაპატიმრების გზით

### გაერთიანებული სამეფოს პარლამენტის წევრის, ჯეს ფილიპსის რჩევები

ჯეს ფილიპსი გაერთიანებული სამეფოს პარლამენტის წევრია და ასევე ჩრდილოვანი მინისტრი ოჯახში ძალადობის და მისგან დაცვის საკითხებში.

#### რა დაგეხმარათ სასამართლო პროცესის დროს?

ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, პოლიციაში მყოლოდა ერთი საკონტაქტო პირი, რომელიც ჩემს საქმეებზე იმუშავებდა. ქალები, მათ შორის, ქალი პოლიტიკოსები, ხშირად სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემას ეთიშებიან, რადგან პროცესი ძალიან დიდხანს იჭიმება და საქმეზე მათი სათანადოდ ინფორმირება არ ხდება. განსაკუთრებით ქალი პოლიტიკოსებისთვის მარტივია, დაივიწყონ ყველაფერი და იფიქრონ: „ამ ამბავმა უკვე ჩაიარა. ერთი წლის წინ მოხდა. და ახლა არ მინდა, ყურადღება ჩემზე იყოს მომართული, რადგან ეს არაფერში არგია ჩემს ამომრჩეველს". ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ პოლიციაში ან სახელმწიფო უწყებებში გყავდეთ ადამიანი, ვინც თქვენს საქმეზეა მიმაგრებული, თვალს ადევნებს საქმის მსვლელობას, მუდამ კავშირზეა თქვენთან და ვისთანაც მიგესვლებათ.

36 PEN America. ონლაინ შევიწროების გზამკვლევი, <https://onlineharassmentfieldmanual.pen.org/>.

ასევე, უნდა გყავდეთ ადვოკატები და მხარდამჭერთა ქსელი. ჩემი გამოცდილებით, ქალ პოლიტიკოსებს ნაკლებად ეხერხებათ საკუთარი ინტერესების ადვოკატირება. ჩემი თანამშრომლების შემთხვევაში, მე მათ ინტერესებს ვიცავდი, ხოლო ისინი – ჩემსას და ცდილობდნენ მოძალადეს დაპირისპირებოდნენ, როცა ის არც ერთ წაყენებულ ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ სცნობდა. შეეცადეთ, საკუთარ გუნდში იპოვოთ დამცველები, ვისთანაც შეძლებდით სხვადასხვა საკითხების გადამოწმებას.

გარდა ამისა, პარლამენტის უსაფრთხოების სამსახურმა უნდა იცოდეს თქვენი საქმის შესახებ. მე ვთანამშრომლობდი გაერთიანებული სამეფოს პარლამენტის უსაფრთხოების გუნდთან და ვეკითხებოდი, შესაძლებელი იყო თუ არა უსაფრთხოების დამატებითი ზომების გატარება. გაერთიანებულ სამეფოში, პარლამენტის შესაბამისმა სამსახურებმა იციან პარლამენტარებთან დაკავშირებული თითოეული საქმის შესახებ. ამავე დროს, პარლამენტართა უსაფრთხოების სამსახურის უფროსი ქალია. მას კარგად ესმოდა ჩემს საქმეში არსებული გენდერული ძალადობის არსი, რაც სასარგებლო იყო.

## რას გააკეთებდით ახლა სხვანაირად?

მე მქონდა უმძიმესი ონლაინ შევიწროებისა და ძალადობის შემთხვევები, რომლის წინააღმდეგაც პოლიცია იმ დროს ცუდად იყო მომზადებული და ამიტომ მიწევდა მტკიცებულებებში, ქაღალდებში გარკვევა, რაც საკმარისი იყო თავის ხელახალი ტრავმირებისთვის. როდესაც სახელმწიფო ორგანოები ისე არ იქცევიან, როგორც უნდა იქცეოდნენ, შენ თვითონ ხდები „პოლიციელი“. ასე რომ, ვაგროვებდი მტკიცებულებებს და მიწევდა საკუთარ თავზე გამოცდილი შევიწროებისა და ძალადობის შესახებ ყველაფრის კითხვა, რაც კიდევ უფრო დამაზიანებელი იყო, ვიდრე თავად ძალადობის აქტები. ამას აღარ გავიმეორებ და არც არავის ვურჩევდი ამის გაკეთებას. ბოლო პერიოდში, გაერთიანებულ სამეფოში უკეთესი რეაგირების სისტემები ამოქმედდა და მათ მიმართ ნდობა გამიჩნდა. თავს შევიკავებდი ჩემი მისამართით წამოსული უამრავი ძალადობრივი გზავნილის კითხვისგან, რადგან მე ამან უფრო გამაჩუმა, ვიდრე თავად ძალადობის აქტებმა. არ იფიქროთ, რომ ტრავმის მიმართ იმუნიტეტი გაქვთ გამომუშავებული.

## რა რჩევას მისცემდით ქალ პოლიტიკოსს, რომელიც შევიწროების შემთხვევაში სასამართლოში საკუთარი უფლებების დაცვას დააპირებს? როგორ უნდა მოემზადოს ადამიანი იმისთვის, რაც მოხდება?

რაც არ უნდა იყოს, მზად იყავით, რომ მედიისა და ახალი ამბების ყურადღების ცენტრში მოექცევით. ორ საქმესთან დაკავშირებით მედიაში ჩემი სახელი ისე გაჩნდა, რომ არც კი ვიცოდი, რადგან, იმ შემთხვევაში, არ იყო საჭირო  სასამართლოში ჩემი გამოცხადება ან ჩვენების მიცემა, რაც ჩემთვის უკეთესი იყო. ასევე, მზად უნდა იყოთ, რომ როცა საქმე სასამართლოში მიდის, კონტროლის გარკვეულ ნაწილს კარგავთ. როგორც კი საქმე სასამართლო განხილვის სახეს იღებს, თქვენ ხდებით მოწმე და არა მხარე, ანუ კარგავთ კონტროლს იმაზე, როგორ საუბრობენ მასზე და როგორ იხილავენ. მზად იყავით, რომ ასეთი რამ შეიძლება მოხდეს და რომ ადამიანებმა მედიაში შეიძლება თქვენთვის მოულოდნელი და შოკისმომგვრელი რამეები ილაპარაკონ. ასევე შეამზადეთ ოჯახი და, განსაკუთრებით, ბავშვები, რადგან მათთვის ეს ყველაფერი ძნელი იქნება.

სამართლის ძიების პროცესში გამძლეობა უნდა გქონდეთ, მზად იყოთ ხანგრძლივი პროცესისთვის: ჩემი საქმე სამი წელი გაგრძელდა – გამოძიების დაწყებიდან მსჯავრის გამოტანამდე – და როგორც პარლამენტის წევრს, მე კარგად მექცეოდნენ, თავს დამნაშავედაც კი ვგრძნობდი იმის გამო, რომ ჩემი ამომრჩევლები, შესაძლოა, ვერ იღებდნენ ასეთ კარგ და „სწრაფ" რეაგირებას, როდესაც რასობრივ და/ან გენდერულ ძალადობას აწყდებოდნენ.

გარდა ამისა, მზად იყავით სხვადასხვა შეგრძნებებისთვის. დამნაშავეებისთვის მსჯავრის დადების შემდეგ ეიფორიაში არ ჩავვარდნილვარ, უფრო სევდა ვიგრძენი. მეორეს მხრივ, გაცილებით უფრო უსაფრთხოდ ვგრძნობდი თავს, რადგან ის კაცები ციხეში იყვნენ.

და ბოლოს, ძალიან მნიშვნელოვანია მხარდაჭერის და ფსიქოლოგიური და/ან ტრავმასთან დაკავშირებული კონსულტაციების მიღება – არ გინდათ გმირობა, ხალხს კარგ სამსახურს ვერ გაუწევთ, თუ თვითონ იქნებით შეშინებული, ასე რომ, არ გინდათ გმირობა, დაეხმარეთ საკუთარ თავს.

## როგორ დავეხმაროთ კოლეგას? რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი

თუ პოლიტიკოსი ძალადობას და/ან შევიწროებას განიცდის, მას შეიძლება სხვადასხვა გზით დაეხმაროს კოლეგა პოლიტიკოსი.

- **პირველ რიგში: მოუსმინეთ, დაუჯერეთ და დაუდასტურეთ**

  ძალადობის ნებისმიერი ფაქტის ერთ-ერთი ყველაზე ტრავმული ასპექტია, როცა საზოგადოებას ან სახელმწიფო ორგანოებს არ სჯერათ ან სერიოზულად არ აღიქვამენ ძალადობას. ამიტომ, როგორც კოლეგას, შეგიძლიათ ძალიან მნიშვნელოვანი რამ გააკეთოთ, ეს არის მსხვერპლის განსჯის გარეშე მოსმენა და მისი გამოცდილებისა და მიღებული ტრავმის ვალიდაცია. თუ მოძალადე თქვენივე პარტიის წევრია, ამან თქვენი კოლეგა შეიძლება განსაკუთრებით მოწყვლად მდგომარეობაში ჩააყენოს.

- **შესთავაზეთ მხარდაჭერა**

  » ჰკითხეთ თქვენს კოლეგას, რითი შეგიძლიათ მისი დახმარება. ჰკითხეთ, რა სჭირდება.

  » დახმარება შეიძლება იყოს ძალიან პრაქტიკული სახის, მაგალითად, უყიდეთ პროდუქტები, თუ სახლიდან გასვლა მისთვის უსაფრთხო არ არის; ან შესთავაზეთ, რომ მის ნაცვლად შეამოწმებთ სოციალური მედიის ანგარიშებს და, თუ ონლაინ შევიწროების სამიზნეა, ყველა მტკიცებულების სქრინშოთს გადაიღებთ.

  » ხანდახან მსხვერპლისთვის იმის ცოდნაც საკმარისია, რომ დახმარებაზე ხელი მიუწვდება. ამიტომ, დახმარების ხშირმა ხსენებამ და (მისი პირობებით) შეთავაზებამ შეიძლება უფრო უსაფრთხოდ და დაცულად აგრძნობინოს თავი.

- **იმოქმედეთ**

  » იმის მიუხედავად, ძალადობას ან შევიწროებას ინტერნეტ სივრცეში შეესწრებით, თუ მის გარეთ, ბევრი რამის გაკეთება შეგიძლიათ, როგორც ინციდენტის დროს, ისე შემდეგ. არსებობს სიტუაციაში ჩარევის ხუთი ნაბიჯი: ჩაერიეთ პირდაპირ, თუ უსაფრთხოა; გააკეთეთ დავალებების დელეგირება რისკების შეფასების შემდეგ; შეეცადეთ მოძალადისგან, მსხვერპლისგან ან სიტუაციისგან ყურადღების გადატანას; დაიცადეთ და მოიკითხეთ მსხვერპლი ინციდენტის შემდეგ; გააკეთეთ სიტუაციის

დოკუმენტირება ტელეფონის მეშვეობით და გააკეთეთ ჩანაწერები. ყველა ეს რჩევა სასარგებლოა.[37]

» თუ ონლაინ შევიწროების მომსწრე ხართ, გაერთიანებულ სამეფოში მოქმედ საქველმოქმედო ორგანიზაცია Glitch-ს აქვს რესურსი, რომელიც შემდეგ ხუთ ნაბიჯს გთავაზობთ: 1. გამოავლინეთ ძალადობა, 2. დაეხმარეთ მსხვერპლს 3. ინციდენტის შესახებ ინფორმაცია მიაწოდეთ ვებგვერდს/პლატფორმას ან ორგანიზაციას, რომელსაც დახმარების გაწევა შეუძლია, 4. გაეცით პასუხი თავდაპირველ პოსტს, რათა ყურადღება ძალადობისგან იქნას გადატანილი, 5. გააძლიერეთ ძალდობის მსხვერპლის ხმა.[38]

- **გამოიყენეთ თქვენი მდგომარეობა, ძალაუფლება ან ქსელები** თქვენს პარტიაში ან პარლამენტში იმ კოლეგის მხარდასაჭერად, რომელმაც ძალადობა ან შევიწროება განიცადა, ასევე, ცვლილებების ადვოკატირებისთვისა **და ხელშეწყობისთვის.**

37 იხილეთ, მაგალითად, "თვითმხილველის ჩარევის ხუთი ნაბიჯი", ანტიძალადობრივი განათლების ცენტრი, ნიუ-იორკი, აშშ. <https://static1.squarespace.com/static/5e1b96b78d93e3087ddd7675/t/5e47147f0310305ee6929a60/1581716608382/Toolbox_The+5+Ds+of+Bystander+Intervention.pdf>, და კემბრიჯის უნივერსიტეტის სახელმძღვანელო ვებგვერდი აქტიური თვითმხილველების შესახებ, < https://www.breakingthesilence.cam.ac.uk/prevention-support/be-active-bystander>.

38 „ცოტა ბევრს ნიშნავს, როგორ შეიძლება აქტიური ონლაინ თვითმხილველი იყოთ", Glitch, გაერთიანებული სამეფო, ვებგვერდი, <https://glitchcharity.co.uk/wp-content/uploads/2021/09/Glitch_Online_Active_Bystander_ALMAL_Sept2021.pdf>.

# პოლიტიკოსს და პოლიტიკური პარტიის წევრს შეუძლია...

**"როგორც ბავშვობაში სექსუალური ძალადობის მსხვერპლმა, ვისწავლე, რომ ხმამაღლა ვისაუბრო იმაზე, რაც გავიარე, რადგან ამ ყველაფრზე პასუხისმგებლობა მე არ მაკისრია: მე არაფერი ჩამიდენია.**

**ამავე სტრატეგიას ვიყენებ, რომ პოლიტიკაში დაცულად ვიგრძნო თავი. უზრუნველვყოფ, რომ ადამიანებმა, რომლებიც სხვებს ტკივილს აყენებენ, პასუხი აგონ თავიანთი ქმედებებისთვის.**

**მე სასირცხვილო არაფერი მაქვს, მათ უნდა რცხვენოდეთ."**

## პრევენცია

სამოქალაქო საზოგადოებასა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, პოლიტიკოსებს **შეუძლიათ ტრენინგ პროგრამების ორგანიზება,** რომლებიც ფოკუსირებული იქნება პოლიტიკაში გენდერული ძალადობის პრევენციასა და აღკვეთაზე. პარტიის ყოველდღიურ მუშაობაში ჩართული ყველა ადამიანის განათლება ძლიერი გზავნილია ნებისმიერი სახის არასასურველი ქცევის დასაგმობად. ტრენინგებისთვის სავალდებულო ხასიათის მიცემა და ინკლუზიურობა ხელს შეუწყობს მოკავშირეებისა და მხარდამჭერების ქსელის გაფრთოებას.

მოუწოდეთ თქვენს პარტიას, **შეიმუშაონ გზამკვლევები და ინსტრუქციები,** რომლებშიც მოცემული იქნება რჩევები ძალადობის საფრთხის წინაშე მყოფი ადამიანებისთვის. ეს ცოდნა უკიდურესად სასარგებლო შეიძლება იყოს და ქალებს მიაწოდოს სწორი ინსტრუმენტები, რომლებიც ძალადობის შემთხვევაში სათანადო ნაბიჯების გადადგმაში დაეხმარებათ. დაურიგეთ ეს მასალა პარტიის ყველა წევრს და ხაზი გაუსვით კოლეგების როლს მსხვერპლის დახმარებაში.

**მიეცით სხვებს მაგალითი, როგორც პოლიტიკოსმა.** აიმაღლეთ ხმა, თუ შეგიძლიათ. თქვენი მაგალითი აყალიბებს კულტურას და ძალას აცლის ბოროტმოქმედებს. თქვენ შეგიძლიათ, გამოიყენოთ თქვენი პლატფორმა და

ძალაუფლება ძალადობის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად.

**ადვოკატირება გაუწიეთ თქვენს პოლიტიკურ პარტიაში ქალთა ორგანიზაციის/ფრთის ჩამოყალიბებას.** ამგვარი პარტიული ერთეულები პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მიმართული ძალისხმევის ძლიერი მხარდამჭერები შეიძლება გახდნენ.

ზეგავლენა მოახდინეთ იმაზე, **როგორ არჩევს სამსახურში ასყვანად თქვენი პარტია ქალებს და როგორ ხვდებიან პოლიტიკაში ახლადმოსულ ქალებს.** მხარი დაუჭირეთ პოლიტიკაში ახლადმოსულ და ასევე პოლიტიკაში ყოფნის შედარებით ხანგრძლივი გამოცდილების მქონე ქალებს. **წაახალისეთ და ხელი შეუწყვეთ ქალების არჩევნებში მონაწილეობას.**

**მენტორობა გაუწიეთ ქალ პოლიტიკოსებს.** ვესტმინსტერის დემოკრატიის ფონდის კვლევის მიხედვით[39], სხვადასხვა ხალხისგან მიღებული მენტორობა მნიშვნელოვანია იმ შიშებისა და წუხილების გადასალახად, რომლებიც მოტივირებულ ქალებს შეიძლება ჰქონდეთ და ასევე, იმის დასანახად, რომ საჭიროა, მხარდაჭერისა და უნარების ადაპტირება პოლიტიკური ლიდერობისკენ მიმავალ გზაზე (უფრო დეტალური რჩევები და ინსტრუქციები იხილეთ სხვა ინსტრუმენტებში).

## დაცვა

პოლიტიკაში ჩართული ქალები სამართლიანობის მიღწევის გზაზე სხვადასხვა ბარიერს აწყდებიან, რომელიც მოიცავს შეტყობინებისა და გასაჩივრების პროცესში რევიქტიმიზაციას, დანაშაულის გამოძიებასა და დამნაშავეთა დევნაზე პასუხისმგებელი სამართალდამცველი ორგანოების მხრიდან წინააღმდეგობას, ასევე, არასაკმარის სამართლებრივ დაცვასა და არასაკმარის წვდომას ინტეგრირებულ სერვისებზე. ეს ყველაფერი ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის სხვა ფორმებისთვისაც არის დამახასიათებელი.[40]

როგორც გადაწყვეტილებების მიმღებმა, **ადვოკატირება გაუწიეთ ახალი კანონების მიღებას ან არსებული კანონმდებლობის განახლებას, ასევე, გასაჩივრების მექანიზმებისა და რეაგირების პროტოკოლების გაძლიერებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად**. საჭიროა საკანონმდებლო რეფორმები პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის სათანადო იურიდიული განმარტებისა და აღიარებისთვის, რაც, თავის მხრივ, სათანადო პრევენციის, დაცვისა და სამართლებრივი დევნის ზომების უზრუნველყოფას შეუწყობს ხელს.

39 რებეკა გორდონი, "ქალთა პოლიტიკური კარიერა", *op. cit.*, სქ. 34.

40 *Ibid.*

გარდა ამისა, ადვოკატირება გაუწიეთ ქცევის კოდექსებისა და პროტოკოლების მიღებას ან არსებული რეგულაციებისა და დებულებების იმგვარ განახლებას, რომ მოიცვას პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევები პარლამენტებში, პოლიტიკურ პარტიებსა თუ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში. უზრუნველყავით, რომ **აღსრულების მექანიზმები** იყოს ეფექტური.[41] თქვენს პარტიაში ქცევის კოდექსის შემოღებამ, შესაძლოა, სხვა პარტიებსაც უბიძგოს მსგავსი კოდექსის მიღებისკენ. ხელი შეუწყვეთ იმას, რომ პარტიაში არსებობდეს შიდა პროცედურა, რათა მსხვერპლებმა იცოდნენ და ჰქონდეთ წვდომა მხარდამჭერ და საკონსულტაციო სერვისებზე, რომლებიც იქნება კონფიდენციალური და რომლებისთვისაც ყველაზე მთავარი მსხვერპლთა უფლებების დაცვა იქნება (უფრო დეტალური რჩევები და ინსტრუქციები იხილეთ სხვა ინსტრუმენტებში).

## მოძალადეთა სამართლებრივი დევნა და დასჯა

ქალთა მიმართ, მათ შორის, პოლიტიკაში ჩართულ ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებთან დაკავშირებით სამართლიანობის მიღწევის გზაზე ქალები ბევრ ბარიერს აწყდებიან. თუმცა, პოლიტიკოსებს ამ ფენომენის გარშემო არსებულ კულტურაზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ. ძალაუფლებით აღჭურვილ ქალებს და მამაკაცებს, მაგალითად პარლამენტის ან საკრებულოების წევრებს, მოძალადეთა დაუსჯელობის აღკვეთა **დისციპლინარული სანქციების შემოღებითა და გამოყენებით შეუძლიათ.** გაერთიანებულ სამეფოში მოქმედი ქალთა უფლებების დამცველი ერთ-ერთი ორგანიზაციის მოწოდებით, პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობაში მხილებულებს სამუდამოდ უნდა ჩამოერთვათ არჩევნებში კენჭისყრის უფლება.[42]

ქალ პოლიტიკოსებს მუდმივად უწევთ ონლაინ ძალადობასთან გამკლავება. ამგვარ ძალადობას ხშირად აქვს ადგილი სოციალური მედიის პლატფორმებზე. მოუწოდეთ **ინტერნეტ პროვაიდერებს,** შესაბამისობაში მოიყვანონ თავიანთი წესები ადამიანის უფლებების საერთაშორისო ჩარჩოსთან და უზრუნველყონ, რომ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეშვეობით პოლიტიკოს ქალთა მიმართ განხორციელებული ნებისმიერი ფორმის ძალადობა სისხლის სამართლებრივად იდევნებოდეს[43] (უფრო დეტალური რჩევები და ინსტრუქციები იხილეთ სხვა ინსტრუმენტებში).

## პოლიტიკის კოორდინირება

41 Ibid.

42 "ფოსეტის ღია წერილი მთავრობას მოუწოდებს, სამუდამოდ ჩამოერთვათ არჩევნებში კენჭისყრის უფლება იმ კანდიდატებს, ვინც ძალადობას უწყობენ ხელს," ფოსეტის საზოგადოება, პეტიცია, 22 მაისი, 2019, <https://www.fawcettsociety.org.uk/news/fawcett-calls-on-government-to-impose-a-lifetime-ban-on-candidates-who-promote-violence-through-open-letter>.

43 ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში, op. cit., სქ. 2.

## მონაცემების შეგროვება

**კვლევები და კვლევითი პროექტები** თქვენს რეგიონსა თუ ქვეყანაში პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის მხრივ არსებული მდგომარეობის შესახებ მონაცემების შეგროვების შესანიშნავი საშუალებაა. პარლამენტში ქალთა მიმართ სექსიზმის, შევიწროებისა და ძალადობის გავრცელების შესახებ კვლევები შეიძლება იქნას გამოყენებული სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობისთვის ან პოლიტიკურ პარტიებსა და ხელისუფლებებზე ზეწოლისთვის, რათა მათ ნაბიჯები გადადგან სიტუაციის გამოსასწორებლად.

პოლიტიკურ პარტიებში ადვოკატირება გაუწიეთ პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ **პარტიის პოლიტიკისა და პრაქტიკის მონიტორინგსა და შეფასებას**. გენდერული აუდიტები (მაგ., ODIHR-ის გენდერული აუდიტის ინსტრუმენტი პოლიტიკური პარტიებისთვის) დაგეხმარებათ ინფორმაციის შეგროვებაში.[44]

მონაცემთა შეგროვება და ანალიზი შესაძლოა გულისხმობდეს პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ მონაცემებისა და **სტატისტიკის ეროვნული მონიტორინგის** სხვა მაჩვენებლების გაერთიანებას ან ქალთა უფლებების დაცვის სპეციალური მაკონტროლებელი ორგანოების შექმნას .[45]

**დაელაპარაკეთ სამართალდამცავ ორგანოებს** და გააგებინეთ, შეტყობინების რომელი მეთოდი გაუმარტივებდა მსხვერპლს მონაცემების შეგროვებას. მაგალითად, ინფორმაციის ონლაინ პლატფორმაზე ატვირთვა შეიძლება უფრო მარტივი იყოს იმ ქალებისთვის, ვისაც საქმის აღსაძრავად პოლიციაში მისვლა არ შეუძლია. გამოკითხული ქალების თქმით, აღნიშნულმა მეთოდმა შესაძლოა შეტყობინების მაჩვენებელი გაზარდოს და პოლიციას უფრო მეტი მონაცემი მიეწოდოს, რაც პრობლემის რეალურ მასშტაბს დაგვანახებს (უფრო დეტალური რჩევები და ინსტრუქციები იხილეთ სხვა ინსტრუმენტებში).

## ალიანსების შექმნა

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციაზე **სამოქალაქო საზოგადოებასთან ან საერთაშორისო ორგანიზაციებთან** თანამშრომლობა კარგი საშუალებაა ამ თემის უფრო ფართო აუდიტორიამდე მისატანად და მის გარშემო საზოგადოებივი აზრის ფორმირებისთვის. სთხოვეთ სამართალდამცავებს, ჟურნალისტებს, მოსამართლეებს, იურისტებს და სხვა აქტორებს,შეუერთდნენ კამპანიას.[46] ეს მეთოდი სასარგებლო შეიძლება აღმოჩნდეს იმ შემთხვევაში, თუ

44 ეუთოს გენდერული აუდიტი, ვებგვერდი, <http://genderaudit.osce.org/>.

45 ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში, *op. cit.*, სქ. 2.

46 *Ibid.*

პოლიტიკური პარტიის შიგნით არ არსებობს თანამშრომლობის მზაობა.

პარტნიორობებს არსებითი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებაში არსებული დამოკიდებულებების ცვლილების უზრუნველსაყოფად. ჩართეთ **მამაკაცი და ქალი პოლიტიკოსები** პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის საქმეში, როგორც გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების დამცველები და ხელშემწყობები. რადგან გადაწყვეტილების მიმღები თანამდებობის პირები უმეტესად მამაკაცები არიან, მათი როლი მნიშვნელოვანია ცვლილებების მისაღწევად. **გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის კუთხით მამაკაცებს მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ.**

> "შვედეთში მამაკაცმა პარლამენტარებმა, როგორც საზოგადოებრივი აზრის ლიდერებმა, თავიანთი თანამდებობა მიდგომების შესაცვლელად გამოიყენეს. 2004 წელს შექმნილი შვედეთის მამაკაც პარლამენტართა ქსელი მრავალპარტიული დაგჯუფებაა, რომელიც ხელს უწყობს მამაკაცებს, ჩაერთონ ღირებულებების, წინასწარგანწყობებისა და ადამიანთა თანასწორობის შესახებ გამართულ მსჯელობებში. ქსელი აწყობს შეხვედრებს პოლიციელებთან, იურისტებთან, მოსამართლეებთან, სამხედროებთან, სპორტულ მწვრთნელებთან, სკოლებსა და პროფკავშირებთან ფასეულობების, მიდგომებისა და ცვლილებების საჭიროების განსახილველად."[47]

როგორც პოლიტიკოსს, შეგიძლიათ **პარლამენტის კულტურის ცვლილების** მოწოდებით გამოხვიდეთ. პოლიტიკის სტრუქტურები და მათი ბუნება განსაზღვრავს პოლიტიკის სახეს. საპარლამენტო ქსელებსა თუ კომიტეტებს შეუძლიათ ქალთა პოლიტიკური ჩართულობის ხელშეწყობა და მათთვის სოლიდარობის ძლიერი მესიჯის გაგზავნა. ხელისუფლებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში ან არჩევნებში ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობა ტრენინგების ფორმითაც შეუძლია.

და ბოლოს, **იპოვეთ მოკავშირეები მედიაში და რეპორტიორებს შორის.** ბევრი ქალი პოლიტიკოსი მუქარასა და ძალადობრივ მესიჯებს ახალი ამბების კომენტარების განყოფილებაში იღებს, რასაც, შესაძლოა, არაფერი საერთო არ ჰქონდეს კონკრეტულ თემასთან და აქცენტი პოლიტიკოსის ვინაობაზე კეთდებოდეს. დაელაპარაკეთ მედიას და გაიგეთ, შესაძლებელია თუ არა კომენტარების განყოფილების დახურვა ან მოდერირება. მედიასთან პარტნიორობა საშუალებას მოგცემთ, დაეხმაროთ ჟურნალისტებს პოლიტიკაში ჩართული ქალების **არასექსისტურად და პატივისცემით გაშუქებაში.** ღრმად

47 თეო-ბენ გურირაბი, "ქალები პოლიტიკაში – ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლა", გაეროს ქრონიკა, გაერო, ნანახია 2022 წლის 14 ოქტომბერს, <https://www.un.org/en/chronicle/article/women-politics-fight-end-violence-against-women>.

გამჯდარი გენდერული სტერეოტიპები, რომლებიც ხშირად თავიანთ როლს ასრულებენ ქალთა მიმართ ძალადობის ხელშეწყობაში, თანამშრომლობისა და ურთიერთპატივისცემის გზით შეიძლება ამოიძირკვოს.

იფიქრეთ **საერთაშორისო თანამშრომლობის** შესაძლებლობებზე. მოიპოვეთ მხარდაჭერა, ეძიეთ მისაბაძი მოდელები ან კარგი პრაქტიკის მაგალითები მსოფლიოში, რათა წარმატებით განაგრძოთ თქვენი საქმიანობა (უფრო დეტალური რჩევები და ინსტრუქციები იხილეთ სხვა ინსტრუმენტებში).

# დანართი 1: ქალთა მიმართ ონლაინ შევიწროებისა და ძალადობის ტერმინთა ლექსიკონი[48]

### ასტროტერფინგი

ეს არის ისეთი (მათ შორის, ძალადობრივი ხასიათის) შინაარსის გავრცელება და გამრავლება, რომელიც თითქოს ორგანულად ჩნდება და ვრცელდება, მაგრამ რეალურად არის კოორდინირებული ქმედება (ხშირად მრავალი ყალბი ანგარიშის გამოყენებით), რომელსაც კონკრეტული პირი, ინტერესთა ჯგუფი, პოლიტიკური პარტია ან ორგანიზაცია ახორციელებს.

### ქრიფშოთები

ეს არის ქალების სექსუალური კონოტაციის მქონე ფოტოები, რომლებიც მათი ნებართვის გარეშე იქნა გადაღებული.

### კიბერფლეშინგი

ეს არის არასასურველი სექსუალური ხასიათის გამოსახულებების გაგზავნა გაცნობის აპლიკაციების/საიტების, მესენჯერების, ტექსტური შეტყობინებების სერვისების ან „Airdrop"-ისა თუ „Bluetooth"-ის გამოყენებით.

### კიბერჯგუფების თავდასხმები (ე.წ. „დოგფაილინგი")

ეს არის, როცა მოძალადეთა დიდი დაჯგუფება კოლექტიურად უტევს სამიზნეს მრავალრიცხოვანი მუქარის, შეურაცხმყოფელი გამონათქვამისა და სხვა აგრესიული ტაქტიკის გამოყენებით.

48 შედგენილია შემდეგი ლექსიკონების საფუძველზე: "'ონლაინ შეურაცხყოფის' განმარტება: ტერმინთა ლექსიკონი", PEN America, ნანახია 2022 წლის 14 ოქტომბერს, <https://onlineharassmentfieldmanual.pen.org/defining-online-harassment-a-glossary-of-terms/>, და "GREVIO-ს ზოგადი რეკომენდაცია #1 ქალთა მიმართ ძალადობის ციფრული განზომილების შესახებ," ევროპის საბჭო, 20 ოქტომბერი, 2011, <https://rm.coe.int/grevio-rec-no-on-digital-violence-against-women/1680a49147>.

## დედნეიმინგი

ეს არის ტრანსსექსუალი ადამიანის დაბადების სახელის (რომელიც მის გენდერს არ შეესაბამება) განგებ გამოყენება შერცხვენის, დაშინების, მუქარის ან შევიწროების მიზნით.

## დიფფეიკი

ეს არის ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ისეთი გამოსახულებების, აუდიო და/ან ვიდეო ჩანაწერების დასამზადებლად, რომელიც ნამდვილივით გამოიყურება. ამ გამოსახულებებში, აუდიო და/ან ვიდეო ჩანაწერებში ადამიანის ლაპარაკი ან სახის გამომეტყველება შეიძლება ისე იყოს მიმსგავსებული, რომ შეიქმნას შთაბეჭდილება, თითქოს მან თქვა ან გააკეთა ისეთი რამ, რაც სინამდვილეში არ უთქვამს ან არ გაუკეთებია.

## DoS შეტევები

ეს არის კიბერშეტევა, რომელიც დროებით ან განუსაზღვრელი პერიოდით თიშავს ან გამოუსადეგარს ხდის ვებგვერდს/ქსელს, რასაც სისტემის მონაცემებით გადატვირთვა იწვევს. DoS შეტევებმა შეიძლება არ მისცეს ადამიანს თავის მოწყობილობებსა ან მონაცემებზე წვდომის შესაძლებლობა, გარდა ამისა, ეს შეტევები საფრთხის ქვეშ აყენებს მონაცემებში არსებულ სენსიტიურ ინფორმაციას.

## დოქსინგი

ეს არის ინტერნეტ სივრცეში  პირადი სახის სენსიტიური ინფორმაციის გამოქვეყნება (სახლის მისამართი, ელ. ფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი, სოციალური უსაფრთხოების ნომერი, ფოტოები და სხვ.) სამიზნე პირის შევიწროების, დაშინების, გამოძალვის, ადევნების ან იდენტობის მოპარვის მიზნით.

## ფლეიმინგი

ეს არის შეურაცხმყოფელი ან აგრესიული გზავნილების დაპოსტვა სოციალურ ქსელებში ან ფორუმებზე.

## დაჰაკვა

ეს არის მოწყობილობაში ან ქსელში უნებართვოდ შეღწევა. დაჰაკვის მიზანია თავდასხმა, ზიანის მიყენება ან ადამიანის ინკრიმინაცია მისი მონაცემების მოპარვის, პირადი სივრცის დარღვევის ან მოწყობილობების დავირუსების გზით. როცა დაჰაკვა უკანონო საქმიანობის განხორციელების ან სამიზნე პირის დაშინების მიზნით ხდება, ეს კიბერდანაშაულია.

### "ჰეფი სლეფინგი" (გადაღებული თავდასხმა)

ეს არის მსხვერპლზე ფიზიკური თავდასხმა ან სექსუალური ძალადობა, რომლის მიზანია ამ პროცესის ფირზე გადაღება და ინტერნეტში გავრცელება.

### სექსუალური ძალადობა გამოსახულებების გამოყენებით

ეს არის ადამიანთან ურთიერთობის პერიოდში მისი სექსუალური ხასიათის გამოსახულებების ან ვიდეოების მოპოვება ან ამგვარი გამოსახულებების მსხვერპლის კომპიუტერიდან, სოციალური მედიის ანგარიშებიდან ან ტელეფონიდან მოპარვა მათი ინტერნეტში გამოქვეყნების მიზნით.

### ლოლიპოპინგი

ეს არის ნებისმიერი რამ, რაც ქალის ინფანტილიზაციას ემსახურება (მაგ., ფრაზა: „რომ გაიზრდები, გაიგებ"). ტერმინს საფუძვლად დაედო საწუწნი კანფეტის სახელი (lollipop), რომელსაც ექიმები და მოვაჭრეები ბავშვებს ურიგებდნენ ხოლმე დასაშოშმინებლად.

### უნებართვო ინტიმური გამოსახულებები (ე.წ. Revenge Porn)

უნებართვო პორნოგრაფია – ეს არის ადამიანის პირადი, სექსუალურად გულახდილი გამოსახულებების ან ვიდეოების გავრცელება მისი ნებართვის გარეშე.

### ონლაინ სივრცეში სხვა პირად თავის გასაღება

ეს არის სოციალური მედიის ყალბი ანგარიშის შექმნა, ხშირად სამიზნე პირის სახელისა და/ან ფოტოს გამოყენებით, რომელიც მიზნად ისახავს შეურაცხმყოფელი ან პროვოკაციული პოსტების გამოქვეყნებას და პირის ცილისწამებას, დისკრედიტაციას ან მის წინააღმდეგ აგრესიის აგორებას. ამ მიზნით შეიძლება გამოყენებული იყოს სამიზნე პირის ნაცნობი ადამიანის სახელიც.

### არასასურველი პორნოგრაფია

ეს არის სამიზნე პირისთვის სექსუალურად გულახდილი ან ძალადობრივი გამოსახულებებისა და ვიდეოების გაგზავნა.

### არასასურველი სექსუალიზება

ეს არის სამიზნე პირისთვის არასასურველი სექსუალური თხოვნების, კომენტარების ან შინაარსის გაგზავნა.

### სექსტორცია

ეს არის შანტაჟის ფორმა, როცა სამიზნე პირს მისი შიშველი ან სექსუალურად გულახდილი გამოსახულების გამოქვეყნებით ემუქრებიან იმისთვის, რომ რაღაცის გაკეთება აიძულონ.

### გაჩუმება

ეს არის ადამიანის უუნარობა, ძალადობისა და შევიწროების შიშის გამო, სრულად მონაწილეობდეს ან გამოხატავდეს თავის მოსაზრებებს ციფრულ სივრცეში, რის შედეგადაც იგი ეთიშება იმ საზოგადოებრივ დებატებს, რომლებშიც სურდა მონაწილეობის მიღება.

### სვოტინგი

ეს არის  ტელეფონების ან კომპიუტერული სისტემების გამოყენება გადაუდებელი დახმარების სამსახურების მოტყუების მიზნით, რათა სამართალდამცავები ცრუ ინფორმაციის საფუძველზე გაგზავნონ კონკრეტულ ადგილზე.

### მუქარა

"განცხადება, რომლის მიზანია სამიზნე პირისთვის ტკივილის, ზიანის ან დაზიანების მიყენება, ან სხვა სახის აგრესიული მოქმედება" [წყარო: Lexico]. ამაში შედის ძალადობის ნებისმიერი ფორმის გამოყენების შესახებ მუქარა, მათ შორის, სიცოცხლის მოსპობის, ფიზიკური და/ან სექსუალური ძალადობის მუქარები.

### ტროლინგი

ეს არის ინტერნეტში შეურაცხმყოფელი კომენტარების განზრახ გამოქვეყნება, რაც ზოგჯერ მიზნად ისახავს შეშინებას, ტკივილის მიყენებას ან დამცირებას. ამგვარი შეტევები შეიძლება ასევე განხორციელდეს ადამიანთა ჯგუფის მიერ, კოორდინირებულად და მიზანმიმართულად.

### ზუმბომბინგი

ეს არის ვირტუალურ შეხვედრაზე უნებართვოდ შეჭრა და ტექსტური შეტყობინებებით, ვიდეო ან აუდიო მასალებით კომუნიკაციის შეფერხება. ხშირად ასეთ ქმედებას „რეიდინგს" და „ბომბინგსაც" უწოდებენ. ამგვარ რეიდებს კონკრეტული მიზნები შეიძლება ჰქონდეთ, მათ შორის, ბიზნეს აქტივობებისთვის ხელის შეშლა და მარგინალიზებულ ჯგუფებზე იდენტობის ნიშნით თავდასხმა.

# წყაროები და დამატებითი ლიტერატურა

Joanie Connors and Michelle Harway, "A Male-Female Abuse Continuum." *Family Violence & Sexual Assault Bulletin 11: 31–35, 1995*. <https://www.ipu.org/resources/publications/issue-briefs/2018-10/sexism-harassment-and-violence-against-women-in-parliaments-in-europe>.

"Sexism, harassment and violence against women in parliaments in Europe", Council of Europe and IPU, 2018. <https://www.womenlobby.org/IMG/pdf/hernetherrights_resource_pack_2017_web_version.pdf>.

#HerNetHerRights – Resource Pack on ending online violence against women & girls in Europe, European Women's Lobby, 2018. <https://www.womenlobby.org/IMG/pdf/hernetherrights_resource_pack_2017_web_version.pdf>.

"Fawcett open letter calls on Government to impose a lifetime ban on candidates who promote violence", Fawcett Society, petition, 22 May 2019. <https://www.fawcettsociety.org.uk/news/fawcett-calls-on-government-to-impose-a-lifetime-ban-on-candidates-who-promote-violence-through-open-letter%20>.

"In safety – Guide for victims of online violence", (Turvassa – Opas verkkoväkivallan kohteeksi joutuneille), Green Women's Association, 2020, Finland. <https://www.vihreatnaiset.fi/wp-content/uploads/2020/02/Turvassa-opas-2020.pdf>.

Mona Lena Krook, *Violence against Women in Politics*, (New York: Oxford University Press, 2020).

Rebecca Kuperberg, "Intersectional Violence against Women in Politics", *Politics & Gender*, Volume 14, Issue 4, December 2018, pp. 685 – 690.<https://doi.org/10.1017/S1743923X18000612%20>.

"Councillors' guide to handling harassment, abuse and intimidation", The Local Government Association, UK. <https://www.local.gov.uk/councillors-guide-handling-harassment-abuse-and-intimidation>.

Joanna Smith, "MPs reveal experiences with sexual misconduct on Parliament Hill in survey", The Globe and Mail news website, Ottawa, 2 January 2018. <https://www.theglobeandmail.com/news/politics/mps-reveal-experiences-with-sexual-misconduct-on-parliament-hill-in-survey/article37472308/>.

Think 10 – Questionnaire and Guide, NDI, 2018. <https://think10.demcloud.org/sites/default/files/questionnaire/Questionnaire-English.pdf>.

"Violence against Women Journalists and Politicians: A Growing Crisis", OSCE Parliamentary Assembly's Special Representative on Gender Issues, Annual Report 2021. <https://www.oscepa.org/en/documents/special-representatives/gender-issues/report-17/4247-2021-report-by-the-special-representative-on-gender-issues-violence-against-women-journalists-and-politicians-a-growing-crisis/file>.

Tactical Tech: The Holistic Security Manual. "http://www.holistic-security.tacticaltech.org"www.holistic-security.tacticaltech.org

Report of the UN Special Rapporteur on violence against women, its causes and consequences on violence against women in politics, A/73/301 - E - A/73/301, 2018. <https://digitallibrary.un.org/record/1640483>.

Theo-Ben Gurirab, "Women in Politics - The Fight to End Violence Against Women", UN Chronicle webpage, United Nations, last accessed 14 October 2022. <https://www.un.org/en/chronicle/article/women-politics-fight-end-violence-against-women>.

"Guidance Note: Preventing Violence against Women in Political Life", UN Women, New York, July 2021, p. 4. <https://www.unwomen.org/sites/default/files/Headquarters/Attachments/Sections/Library/Publications/2021/Guidance-note-Preventing-violence-against-women-in-politics-en.pdf>.

Rebecca Gordon et al., "Women's political careers: where do leaders come from?" Westminster Foundation for Democracy (WFD) and FCDO, March 2021. <https://www.wfd.org/what-we-do/resources/womens-political-careers-where-do-leaders-come>.

Kristina Wilfore, "A Digital Resilience Toolkit for Women in Politics - Persisting and Fighting Back Against Misogyny and Digital Platforms' Failures", #ShePersisted, 2022. <https://secureservercdn.net/160.153.137.91/r2g.26a.myftpupload.com/wp-content/uploads/2022/06/ShePersisted_Digital_Resilience_Toolkit.pdf>.

SCAN ME

Office for Democratic Institutions and Human Rights

OSCE ODIHR